



ორგანო საფ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი
Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

832
1951

რვაენი

ფრთვა

“ NOTRE DRAPEAU ”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 8

პარტიო

ო ა ნ გ ა რ ი

Paris.

1951

მართი ძირითადი საკითხი.

კაცობრიობის წინაშე, დღიდან მისი გაჩენისა, დგას ერთი ძირითადი საკითხი, რაიცა დღევანდლამდე ვერ გადაიჭრა.

ეს საკითხია: ადამიანთა ერთმანერთან მორიგება და თანხმობით ერთად ცხოვრება.

ეს საკითხი ბუნებამ გადაუწყვიტა ცხოველებს და ყველა მას ემორჩილება და ასრულებს, ყველა ჯუბრის გარეული თუ შინაური პირუტყვი ცხოვრობენ შეთანხმებით. მათ შორის თუ ხანდახან იფეთქებს ბრძოლა—ეს უეჭველათ სხვადასხვა გვარის ცხოველთა შორის და არასოდეს ერთდამიგვე ტომში. ქათამი ქათამს არ კლავს, ძაღლი ძაღლს. ამ მსოფლიო მოვლენიდან ერთათერთი გამონაკლისია ადამიანთა ჯიში, კაცობრიობა, დაყოფილი მოპირდაპირე ბანაკებათ და ერთიმეორის მხოცველი.

რა იწვევს ამ დაუდგრომელ არსებობას? მიზეზია ერთადერთი: ადამიანი იძულებულია თავი ირჩინოს თავისავე შრომით, ხოლო პირუტყვები ცხოვრობენ ბუნების ნაყოფის საშუალებით. აი ეს დიდი საკითხი ადამიანებს ერთიმეორის წინააღმდეგ რაზმავს: თვითთულს სურს რაც შეიძლება ნაკლები იმეზაოს, რაც შეიძლება სხვისი შრომით იცხოვროს. ამ ნიადაგზე იყოფა კაცობრიობა და მათ შორის გაჩაღებულია ბრძოლა, ბრძოლა იარაღით თუ უიარაღოთ.

ამ წყობამ მოგვცა სხვადასხვა სოციალური ურთიერთობა, სხვადასხვა საზოგადოება: მონობა, ბატონყმობა, პროლეტარიატი, წვრილი მესაკუთრე, ფეოდალიზმი, ბურჟუაზია და სხ. კაცობრიობის ასე დანაწილებამ მოგვცა დაუსრულებელი ომი, ერთი მეორის ქლექა.

ერთისიტყვით, ადამიანთ ერთმანერთთან მორიგება, მათ შორის ერთობის და თანასწორობის დამყარება რჩება დღესაც გადასაწყვეტათ. იყო ცდა ამ საკითხის გადაჭრის ძალით, იარაღით ხელში. ყველა დამპყრობელნი და ტირანები ფიქრობდნენ რაც შეიძლება მეტი ხალხის დამორჩილებას და შიშით მათ შორის წონასწორობის დამყარებას. ამ გზაზე დგას ახლა სტალინი.



ქრისტემ უარყო ეს გზა და მის მაგიერ წამოაყენა გასახორციელებლათ ერთი ძირითადი დებულება: «გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი». ეს იქნებოდა საუკეთესო საშუალება, რომ მისი განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო. ის დარჩა ხმათ მლაღადებელისა.

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გამოჩნდნენ მოღვაწენი, რომელთაც წამოაყენეს ახალი წამალი ამ სენის მოსასპობათ. ეს წამალია საზოგადოების სოციალურათ გარდაქმნა, მცხოვრებთა ყველა წრის და კლასის ერთნაირ სოციალურ კალაპოტში ჩაბმა, სადაც ყველა მუშაობს და ნამუშეიერს ერთმანერთშორის იყოფს. აი ამ მოძღვრებას დაერქვა სოციალიზმი, მაგრამ ვინ არის მისი ამსრულებელი? ამ მოძღვრების მამათმთავარნი—ოვენი, ფურიე, სენსიმონი და სხვა მათი მიმდევარნი—ფიქრობდნენ ამსრულებელნი უნდა გამოინახოს რჩეულ პირებთა შორის, რომელნიც უმეთაურებენ ამ დიდ გადატრიალებას. აი ეს აზროვნება ჩქარა აღმოჩნდა განუხორციელებელი, უტოპიური, ყოველივე რეალურ საფუძველს მოკლებული. ეს აზროვნება შეითვისეს რუსის ბოლშევიკებმა და მოგვცნენ მცირე რიცხვის ბატონობა მთელ ერზე, ყოველივე თავისუფლების მოსპობა და ტირანიული ეკონომიკის და პოლიტიკის დამყარება.

ამ უტოპიურ ზომებს დაუპირდაპირა კარლ მარქსმა რეალური ზომები: სოციალიზმის განმახორციელებელ კლასათ აღიარა, არა არჩეული პირები, არამედ მთელი მუშათა კლასი, მთელი პროლეტარიატი.

მაშასადამე არსებობა დიდი ინდუსტრიის და მასში მომუშავე პროლეტარიატიას წარმოადგენს ერთათერთ გზა და ხიდს სოციალიზმის განსახორციელებლათ, ადამიანთა მოსარჩევლათ.

მოსკოვმა სავსებით გააყალბა მთელი ეს მოძღვრება და თავისი უტოპიური და ტირანიული წყობა გამოიტანა ნამდვილ მარქსიზმთ.

აი ამ გაყალბებული მოძღვრების გამარჯვება მსოფლიოში ნიშნავს კაცობრიობის დაბრუნებას ათასი წლით უკან და გაბატონებას ადამიანთა ვიწრო წრის მთელ საზოგადოებაზე. ეს არის აღდგენა ძველი დესპოტიის, ძველი პოლიტიკური და ეკონომიური დავარდნის და დაჩაჩანაკების.

აქედან გამოსავალი ერთია—გაგრძელება ევროპის გზის—განვითარება ინდუსტრიის, შექმნა მრავალრიცხოვანი მუშათა კლასის, განხორციელება თავისუფლების, როგორც პიროვნების, ისე ერის და საზოგადოების, გატარება ყველა დემოკრატიული რეფორმების და მიახლოება სოციალიზმის

კარებისაკენ. მხოლოდ ამ გზით, ამ მიმართულებით შესაძლებელია გატარება სოციალური რევოლუციის, ადამიანთა მორიგების და ერთი მთლიანი ხელიხელ ჩაკიდებული კაცობრიობის შექმნის. ყველა სხვა გზა არის გამოგონება ან უვიცობის ან თავისთავის განდიდების, ხალხის და ერის მეთაურათ წარმოდგენის. ამის მკაფიო მაგალითს ამჟამათ იძლევა მხოლოდ მოსკოვი, მან დაიმონა როგორც რუსის, ისე სხვა ხალხები და მუშაობს ამ საბრძანებლის გაფართოვებისათვის; ამჟამათ მის ხელშია კაცობრიობის მესამედზე მეტი, ექვსასი მილიონი მცხოვრები, ყველა ერთნაირ დესპოტიანზე მიკრული და თავისუფალი გასაქანის მოკლებული, მისი დასაკლავი დანა შექმნილია თვით ამ წყობის მიერ. საკმარისია ერთი ტალღის აგორება ამ ხალხებში, რომ ტირანია დაინგრეს და მცხოვრებნი ამ უღლისაგან განთავისუფლდნენ.

ნ. ქ.

მცირე შენიშვნები

დიდ ა მ გ ე ბ ჯ ე.

(საქართველს დაპყრობის ისტორიიდან) *)

საფრანგეთის ისტორიკოსი მიშლე ამგვარად ახასიათებს რევოლუციას: რევოლუციებს ფილოსოფოსები და მწერლები უმზადებენ ნიადაგს; ქმნიან მათ გულუბრყვილო იდეალებისტები და საბოლოოვით კი ავაზაკნი დაეპატრონებიან ხალხს.

ზომიერი მიშლე არ ყოფილა რევოლუციის აპოლოგეტი და ამიტომ მის დახასიათებას მიუდგომელათ ვერ ჩავთვლით; მაგრამ თუ რუსეთის რევოლუციას მივიღებთ სახეში, უნდა ვალიაროთ, რომ მიშლეს დაფასება მთლათ უსაფუძვლოთ არ ჩაითვლება.

მარტის, 1917 წ., რევოლუციის მეთაურობა რომ გულუბრყვილო იდეალებისტები გამოადგა, ეს საქვეყნოთ აღიარებული ქეშმარიტებაა; მარტო «კერენშჩინა» რათ ღირს? მან

*) ამ წერილში მოყვანილი ცნობები დიდი ხანია რაც გამოქვეყნებულია საბჭოთა გამოცემებში. პირველად ამ ბოროტმოქმედებას ფარდა ახადა შეთქმულების მთავარ ავტორმა, ს. ორჯონიკიძემ 1921 წ. აპრილს თბილისის სახ. თეატრში მის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში.

უკვე მთელი დედამიწა მოიარა და გახდა სინონიმით პოლიტიკურ უხასიათობის და უილაჯობისა.

ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, პირველ მის პერიოდში, მთელი რუსეთი, განაპირა ქვეყნების გამოკლებით, ცარცვა-გლეჯის ასპარეზით გადააქცია და რევოლიუციის მთავარ ლოზუნგათ—«ცარცვე მცარცველებიო»—გამოაცხადა. ასეთ რამეს იმ დროს რევოლიუციის გაღრმავებას უწოდებდნენ და ეს უკანასკნელი ისე «გაღრმავეს» რომ საქმე მისი ფსკერის გავარდნამდე მივიდა; მდგომარეობა ძალზე გართულდა, ხელისუფლებამ სწორწონობა დაკარგა და მის წრეში სასოწარკვეთილებამ დაიბუღრა.

მართალია, სამოქალაქო ომში თეთრი ღენერლები განადგურდნენ, მაგრამ სამაგიეროდ რევოლიუციის შუა გულში, კრონშტადში, მატროსების დიდმა აჯანყებამ იჩინა თავი; ფართე მასებში ნივთიერ სილატაკემ მოიდგა ფეხი; შიმშილის აჩრდილი, მთელი თავის საშინელებით, რუსეთის ცას ჩამოაწვა და მიიღო შავი ბუნტების ხასიათი; ლენინი შეშფოთდა: მან კარგათ იცის, თუ რას ნიშნავს რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე შიმშილის სპექტრი;—გასულ საუკუნის 93 წ. ამბები კიდევ ცოცხალია მის მახსოვრობაში...

მხოლოდ გარედან დახმარებას შეუძლია მდგომარეობის ხსნა და სწორედ ამისათვისაა, რომ საუკეთესო მისი თანამშრომელი «ბურჟუი» კრასინი, მან საზღვარგარეთ აფრინა; ემისარის უკანასკნელი ცნობები ოპტიმისტურია; შველა არ არის შეუძლებელი; მხოლოდ ამისათვის ვერაპის მოშინაურებაა აუცილებელი; დასავლეთის ბურჟუაზია ახალმა ექსესებმა არ უნდა დააფრთხონ.

ასეთ პირობებში დაისვა 1921 წ. იანვარის 4-ს საქართველოს იარაღით დაპყრობის საკითხი პოლიტიკურად სხდომაზე; ამ ვერაგობის ინიციატორი ქართველი სერგო ორჯონიკიძეა; მან იგივე საკითხი რამდენიმე თვის წინეთ დაუყენა პოლიტიკურად. ლენინის კატეგორიული მოთხოვნით მაშინ ეს საკითხი მოიხსნა.

ესლა ორჯონიკიძემ პოზიციის გასაძლიერებლათ ფ. მახარაძე ჩამოიყვანა მსკოვში და კვლავ დაეინებით მოითხოვს პოლიტიკურად დასტურს; იგი პირდება ამ ავანტიურის სასწრაფოდ ჩატარებას. იმართება კამათი. ტროცკი და სტალინი საქართველოს ლიკვიდაციას უპყერენ მხარს; ლენინმა კი შექმნილ მდგომარეობაში მსგავსი ავანტიურა მანებლათ გამოაცხადა და მისი მოთხოვნით პოლიტიკურად ორჯონიკიძემ მხარაძის თხოვნა არ დააკმაყოფილა.

მაგრამ... ამ სხდომის გავრძელებას მეორე დღეს ქონდა

ადგილი; ტროცკი-სტალინის საიდუმლო თათბირმა ორჯონიკიძეს გზა დაულოცა. მას უთხრეს: გაიმარჯვებ და თანამად შენი დაპირებისა ელვისებურ სისწრაფით საქართველოს დაიპყრობ, გამარჯვებულთ არ ასამართლებენ; თუ ანგარიში გაგიტრუვდა, ისლა დაგრჩენია საქართველოზე თავდასხმას ადგილობრივ აჯანყების ხასიათი მისცე და ჩვენ კი შევეცდებით ლენინის რისხვა შევანელოთ.

ამნაირად დაიწყო თებერვლის 12-ს სომხეთის საზღვრებზე ორჯონიკიძის «მიზან-სცენა». თავში მას ბედმა გაუღიმა და ქართულ მხედრობის პირველმა მარცხებმა თბილისისაკენ გზა გაუხსნა; მაგრამ ჩქარა ახალმა სარდლობამ მდგომარეობის გამოსწორება შესძლო და დედა-ქალაქის დამცველთა ზედინედ ორმა გამარჯვებამ მოლაღატე განსაცდელში ჩააგდო.

ემიგრაციაში მოიპოვებიან პირნი, რომელთაც ქონდათ საშვალეობა თვით მოესმინათ თბილისის თეატრში ამ გადაგვარებულ ქართველის აღსარება, სადაც ის ცინიკური გულანდილობით უამბობდა აუდიტორიას 23 და 24 თებერვლის მის სულიერ განცდებს: სამხედრო მარცხმა ყველა მისი გეგმები ჩაშალა; საქართველოზე თავდასხმის ამბავი გახმაურდა და რუსეთის საზღვრებს გასცილდა^{*)}; გაცოფებული ლენინი მოითხოვს მის, ორჯონიკიძის, მოსკოვში დაუყოვნებლივ გამოცხადებას და საქართველოდან ჯარების გაყვანას; მან უკვე გასცა ჯარების უკან დახვეის ბრძანება, როცა 24-ს შეატყობინეს თბილისის დაცლის ამბავი.—«მე არ ვიცოდი, რა მეფიქრა, განაგრძობს ორჯონიკიძე;—ცხადია, რომ ეს ქართულ სარდლობის ხერხია, მაგრამ რაშია ამ ხერხის სარჩული?» დიდი მღელვარებით ორჯონიკიძე უცდის მდგომარეობის გამორკვევას; უცდის ერთი დღე, უცდის მეორე და მხოლოდ ამ უკანასკნელის დასასრულს სამშობლოს მოლაღატემ გაბედა და შეუძღვა რუსის ურდოებს საქართველოს დედა-ქალაქში.

დაიწყო საქართველოს გოლგოთა; ჩვენი ერის თავისუფლების მზე დიდი ხნით ჩაესვენა...

^{*)} საქართველოზე თავდასხმის ამბავი საქ. საგ. მინისტრმა მხოლოდ სტამბოლში გაიგო 19 თებერვალს, როცა ის ევროპიდან ბრუნდებოდა. იმ დღესვე რადიოთი მან მიმართა მოსკოვს სპაროტესტო ნოტიო. პირი ამ ნოტიისა გადაეგზავნა ყველა დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს; 22 თებერვალს ჩიჩერინმა ევროპას ამცნო, რომ არავითარ თავდასხმას საქართველოზე ადგილი არ ქონია; ეს მხოლოდ ადგილობრივი ინციდენტია და მოსკოვიდან გაიგზავნა კომისია ინციდენტის სალიკვიდაციოთ.

ჩიხერიანის 22 თებერვლის ნოტა უნდა ჩაითვალოს პირველ ნიმუშათ პასუხისა, რომელმაც 30 წლის მანძილზე კლასიკური ფორმა მიიღო; ადგილობრივი აჯანყება, მოხალისენი და სხვა ასეთები, ეხლა უკვე გაცვეთილი ხერხია; ამჟამათ ამას შეცდომაში არავინ არ შეყავს; საინტერესოა, რომ ამ ნოტაში ერთი რამ მაინც სიმართლეს შეიცავდა: მოსკოვიდან აბელ ენუქიძის მეთაურობით კომისიის გამოგზავნას «ინციდენტის» სალიკვიდაციოთ.

«გამარჯვებული» ორჯონიკიძე ენუქიძეს თბილისის სადგურზე დაუხვდა და ამნაირად უკანასკნელს მისიის საგანი არ დაურჩა.

მორალი. ზემო მოთხრობილი ამბავი, უქვევლია, საქართველოს საბოლოო ბედს ვერ შეცვლიდა: ადრე თუ გვიან საქართველო მოსკოვის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო; ასეთია რუსულ ბოლშევიზმის ბუნება; ერთი იმერელი აზნაური იტყოდა: მე არ მიყვარს, რომ ჩემ მიწაზე სხვისი მიწა მოდებულყო; მოსკოვიც ვერ ითმენს მის გვერდით თავისუფალ ერს. რამდენ თავისუფალ ერმა მას შემდეგ საქართველოს ბედი განიცადა. რამდენს მოელის კიდევ მსგავსი ხვედრი?..

ჩვენ მხოლოდ იმიტომ შევაჩერეთ მკითხველთა ყურადღება ქართულ ისტორიის ამ ფაქტალურ შემთხვევაზე, რათა ჩვენი უბედურების 30 წლის თავზე თვითვეული ჩვენთაგანი მან ნაღვლიანათ ჩაგვაფიქროს.

ვის არ ახსოვს ჩერჩილის «ფამილური» ფოტოგრაფიული სურათი ომის გათავებისას ყველა ჟურნალ-გაზეთებში გამოფენილი?—სიგარა პირში, ხელით—რომაული სალაში, ორი თითისაგან ლათინური V-ის კომბინაცია, განუსაზღვრელი სიხარულით აღბეჭდილი მსუქანი სახე—, ინგლისის პრემიერი ამ სურათზე სანატრელი მოდელია მხატვრისათვის თავისთავით კმაყოფილი და თავის სიძლიერეში დარწმუნებული ადამიანისა; ჩერჩილი ამ ხანებში დასავლეთის ხალხთა სულისკვეთების ცოცხალ განსახიერებასაც წარმოადგენდა.

და განა მსგავსი ალტყინებისათვის არ იყო ადგილი? ჩვენ კარგათ ვიცით დასავლეთის მეთაურობის საერთაშორისო მდგომარეობის იმ დროინდელი დიაგნოზი: მას საერთო უბედურების ერთადერთ წყაროთ პიტლერი და მისი რეჟიმი ქონდა დასახული; ცხადია, რომ ომში გამარჯვებას ამ წყაროსთან ერთად უნდა წაეღეკა კაცობრიობის წინსვლის ყველა დაბრკოლება...

ეხლახან ერთ გაზეთში ჩვენ წავაწყდით იგივე ჩერჩილის ახალ ფოტოგრაფიულ სურათს: აფრიკის ერთ კუთხეში ყო-

ფილი პრემიერი მისცემია მის საყვარელ ხელოვნებას; გაზეთის ფონზე ზურგშებრუნებული იგი ხატავს; მთელი მისი ფიგურა მელანქოლიითაა გარემოცული; ხედავთ ფრიად საინტერესო მოხუცს; გაკვირვებს მისი მრავალფეროვანი ნიჭი; მაგრამ უკვე ვერ გრძობ მის მქუხარე ტემპერამენტს და არც მოსჩანს მისი ძლევა მოსილება; სიმბოლიური სურათია ექვსი წლის განვლილ გზისა: მწარე სინამდვილის მიერ უღმობელოდ დამსხვრეული ილიუზიები—პიტლერი გაქრა, მაგრამ მისი ადგილი დაიჭირა «უფრო ძლიერმა და საშიშარმა დიქტატურამ»^{*)}.

და დღესაც, როგორც გუშინ, კაცობრიობის წინაშე იგივე ყოფნა არ ყოფნის საკითხი დგას. გამარჯვებულთა ბანაკი დიდი ხანია რაც დაინგრა: კონფერენციებზე აყალ-მყალს «ცივი» ომის პერიოდი მოყვა; ამ უკანასკნელს შორეულ აღმოსავლეთის სისხლის ღერა და ეხლა დღესავით ნათელია, რომ ზავის ბედი ბეწვზე კიდია.

რომ მშვიდობიანობა საფრთხეშია ეს იქიდანაც სჩანს, რომ მუდამ მის დაცვაზეა ლაპარაკი: ზავი ყველას უნდა, ყველა მასზე ზრუნავს და მისით ფიცულობს; მოსკოვში უკანასკნელ დროს ზავის, სტალინის სახელობაზე, დიდი პრემიაც დაწესდა და მის გასაცემათ საერთაშორისო წარჩინებულ პირთაგან «ქიურიც» დაარსდა: ასეთია დღევანდელი ეპოქის პარადოქსი!

ვშიშობთ, რომ ზავი გადამეტებული სიყვარულის მსხვერპლი არ შეიქნეს; მსგავსათ იმ მაიმუნის ბარტყისა, რომელსაც, სიყვარულის პაროქსიზმში, მშობელი გულზე მიიქცელტს; ასეთი რამ პსიქო-პათოლოგიური მოვლენაა და პოლიტიკასთან საერთო არაფერი არ უნდა ქონდეს: პოლიტიკა, დასახულ მიზნისკენ მიმართული, ანგარიშზე აგებული მოქმედებაა; გრძობით დატვირთული პოლიტიკა თავიდანვე დამარცხებულია.

ასეთ შემთხვევის საუკეთესო მაგალითს კორეიას ამბავი იძლევა; ამ უკანასკნელმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მას შეუძლია სამხედრო გამარჯვებასთან ერთად სტალინს უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური გამარჯვებაც მოუპოვოს: O. N. U-ის დაშლა და ამერიკა-ჩინეთის ომი.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ამ მდგომარეობის ისტორიას; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამჟამათ საქმე გვაქვს ამ ისტორიის უარესს შემთხვევასთან, ჩინეთის კონფლიქტში ჩარევასთან. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, შესაძლო იყო თუ არა ამის

*) ჩერჩილის სიტყვებია.

თავიდან აცილებდა; მაგრამ იმის თქმა თამამად შეგვიძლია, რომ ამერიკამ ყოველისფერი ქნა, რომ ამ ჩარევას ადგილი ქონოდა: ჯერ ერთი გაუგებარი სიჯიუტე, რომ ჩინეთი O.N.U-ში არ დაეშვათ (ამას ჩვენ უკანა რიცხვით არ ვლაპარაკობთ) და მეორე გასულ წლის დეკემბერში მარკ-არტურის იერიშზე გადასვლა.

დღემდინ ამ საკითხში ამერიკა-ინგლისის პოლიტიკა დიამეტრალურათ დაშორებული აღმოჩნდა და ამ გარეობამ, ცხადია, ინგლისის ცდას ჩინეთთან დაახლოვებისა ზიანი მიაყენა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლო ხანებში ინგლისმა ამ მიმართულებით გაიყოლია Commonwealth-ის ყველა ხალხები და ამიტომ შორეულ-აღმოსავლეთში დროებით დაზავების საკითხი მთლად უიმედოთ არ უნდა ჩაითვალოს.

ადვილათ გასაგებია ჩრდილო-ამერიკის საზოგადოებრივი აზრის გაბრაზება; რამდენათ ჩვენ მის წარსულს ვიცნობთ, ეს პირველი მისი დამარცხებაა; მასთან ისიც უნდა ითქვას, რომ კორეიაში ბრძოლის ველზე ის თითქმის მარტო დარჩა; არც O. N. U-ის და Lake Success-ის გაუმაგრებია მისთვის საკმარისად ზურგი; დასაშვებია ისიც, რომ ფილა მისი მოთმინების დასავლეთ ევროპის შეიარაღების საქმეში ზანტმა მოქმედებამ აავსო. მაგრამ მშრალმა ანგარიშმა უნდა სძლიოს გრძობებს; თუ ეს არ მოხდა, დასავლეთი მისცემს ქვეყნიერებას სურათს მისი სრული უმწეობისა და ეს ისეთ მომენტში, როდესაც მხოლოდ დასავლეთის ხალხთა შედუღებულ ენერჯიას შეუძლია მდგომარეობის ხსნა.

კორეიას ამბავი დღევანდელი ქართველის, თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთი ეპიზოდია; მან არ უნდა დაჩრდილოს საერთო პერსპექტივა; შორეულ აღმოსავლეთი ბრძოლის მეორე ხარისხოვანი ფრონტია; ჩინეთის გაკომუნისტების შემდეგ დასავლეთისათვის ფეხმოსადგმელი მატერიკი აქ არ არსებობს; ასეთათ არც იაპონია გამოდგება. მისი პოზიციები მხოლოდ ოკეანე და კუნძულებია. ორ ბლოკთა შეტაკების ბედი კი, როცა ამის საათი დაკრავს, დასავლეთში გადაწყდება.

როდის მოვა უამი ამ შეტაკებისა? ეს უკვე მარჩიელობაა. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ფრიად სერიოზული წყაროები ამ დატას ასახელებენ: ამა წლის შემოდგომას, ან მომავალი წლის შემოდგომას.

ჩვენდათავათ მსგავსი პროგნოზი საექვოთ მიგვაჩნია. სტალინის «პაციფიზმზე» არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი; ეხლაც ვიმეორებთ, რომ მძლავრ მტერთან შუბლით დატაკების მომხრე ის არასოდეს არ ყოფილა. გავიხსენოთ ახლო

წარსული. მეორე ომის დროს მან ერთი დიდი შეცდომა ჩაიდინა: გადააფასა საფრანგეთის ჯარის გამძლეობა; მისი ანგარიშით ის ბრძოლის ველს მხოლოდ 1943 წ. უნდა მოვლინებოდა, ისიც «მარადიორის» როლში; ამის ნაცვლად ჰიტლერი, საფრანგეთზე გამარჯვებული, 1941 წ. მას თავს დაესხა და სტალინი ძალაუნებურათ დასავლეთის დემოკრატიის მოკავშირეთ გახდა. უცნაური სიმბიოზი, მეტი რომ არ ვთქვათ!

სტალინი ეხლაც დიდი ომის ინიციატივას თავის თავზე არ აიღებს; ატომიურ ბომბას მშვიდობიანობის ერთადერთ გარანტიათ თვლიან; ეს სიმართლეა, მაგრამ ნაწილობრივ, ვინაიდან სტალინს სხვა მოსაზრებებიც უკარნახებენ საერთო სამხედრო კონფლიქტიდან თავი დაიჭიროს: რუსეთის შინაური მდგომარეობა თავდაპირველად, შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილი ქვეყნები; თუ ვინმეს გონია, რომ მარშალ როკოსოვსკის პოლონეთის ჯარის სათავეში ყოფნა, ომიანობის დროს ამ ქვეყნის ლოიალობის თავდებია, ჩვენ ამას არ ვფიქრობთ და ეს იმიტომ რომ ვიცით ამ დაუთურგენელ ერის ისტორია. ცოტათ თუ ბევრათ მდგომარეობა სხვა სატელიტებშიდაც ანალოგიურია.

სტალინს ერთ რამეს ვერ წავართმევთ: მისთვის ბრძოლის პროცესში პრესტიჟის საკითხი არ არსებობს—სადაცა არ სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაციისა, სჩანს, მისთვის მთავარი სტრატეგიული კანონია.

მდგომარეობას რომ აკვირდები, შენიშნავ კორეია და Peare Harbour-ის ერთურთში სიანლოვეს: კორეიას მარცხმა ამერიკის მობილიზაციის საქმე წლობით დააჩქარა; საზოგადოებრივი აზრი მოსკოვის წინააღმდეგ იმდენათ აამხედრა, რომ მთავრობის მოქმედებას დიდი თავისუფლება მიეცა და ამიტომაც სწორედ ჩვენი აზრით ომის წამოწყების საშიშროების ცენტრი ვაშინგტონშია გადატანილი.

თუ ომი მოხდა, ამ საერთაშორისო დრამის პირველი აქტი რუსეთის დაუზოგველ დანგრევით დაიწყება. მართალია ამავე დროს სტალინს შეუძლია დასავლეთ ევროპას დაეპატრონოს; მხოლოდ თუ ეს მის სამხედრო პოტენციალს აძლიერებს, სამაგიეროთ პოლიტიკურათ ახალი სატელიტები მას დიდ საფრთხეში ჩააყენებს.

ამ მხრივ სტალინს სურათი ნათლად უნდა ქონდეს წარგოდგენილი; მან ჩვენზე კარგათ იცის საკუთარი რეჟიმის ახალ გამოცდაში გამძლეობის ფასი: დამონებული საბჭოთა ვეება იმპერია, დაპყრობილი ევროპის ხალხები, არ ვფიქრობთ, რომ მას მიაჩნდეს შესაფერ ამბიასათ ამერიკასთან სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში.

სწორედ აქ არის წყარო ოპტიმიზმისა, რომლითაც ჩვენ ასე ხშირად ამ ქურნალის მკითხველებს უმასპინძლდებით.

გასაგებია სტალინის ძალდატანებითი «პაციფიზმი», იტყვის მკითხველი; კარგათ გვესმის, რომ მას არ უნდა სარისკო ოპერაცია, როცა უმაგისოთაც მიზანს აღწევს; მაგრამ თუ დასავლეთმა ამას ბოლო არ მოულო, მოსკოვი მოულებს მას ბოლოს; დღეს სამხედრო უპირატესობა (ატომიური ბომბი) ამერიკის მხარეზეა; ხომ შესაძლოა ხვალ მდგომარეობა საწინააღმდეგოთ შეიცვალოს? ამიტომ, რაც უფრო ადრე დასავლეთი სამხედრო საშვალეებით მოსკოვის ლიკვიდაციას მიმართავს, მით უფრო მეტია მისი გამარჯვების შანსები...

ასეთ შეხედულებას დამცველები ყავს, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში; მაგრამ საბედნიეროთ მათი გავლენა მეტათ მცირეა.

ვლადპარაკობთ საბედნიეროთ, ვინაიდან ამ კონცეპციაში სრულებით არ სჩანს ცხოვრების სიმართლე. მას მდგომარეობა ძველებურათ აქვს წარმოდგენილი და სავსებით ეპარება მხედველობიდან დღევანდელი მსოფლიო კრიზისის სოციალური ხასიათი, რასაც ზედ ერთვის კოლონიალური და ეროვნული პრობლემები^{*)}; დღევანდელი დასავლეთ-აღმოსავლეთის შეხლა ძველი კლასიკური ომი როდია, რომ მისი ბედი ბრძოლის ველზე მარტო იარაღით გადაწყდეს.

ამ უიდილში ის გაიმარჯვებს, ვინც სწორად წარმართავს ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დასმულ პრობლემებს. განა ამ ნიადაგზე ლატაკ მოსკოვთან მდიდარ და განათლებულ დასავლეთის ბრძოლა უიმედოა? რატომ იცავს თავგამოდებით თავის ქვეყანას ამერიკელი მუშა? იმიტომ რომ მისი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმი პირადი მისი კეთილდღეობის შედარებით საუკეთესო გარანტიათ მიიჩნია; ამერიკელ მუშის საარსებო მინიმუმი 5 ჯერ მეტია (65 დოლარი კვირაში) და ამდენითვე მისი ხელფასის მყიდველობითი შესაძლებლობა, ვიდრე მისი ევროპიელ კოლეგის; არც ევროპის მუშათა კლასის უმრავლესობაა, მიუხედავათ მისი მძიმე ნივთიერი მდგომარეობისა, ბოლშევიკურათ განწყობილი^{**}). ეს უტყუარი ფაქტია. სამწუხაროთ ეს არ არის სრულებით გამოყენებული. მილიარდები იხარჯება თავდაცვისათვის. თავდაცვა რომ საჭიროა, ეს ჩვენ კარგათ გვესმის; მაგრამ ის-

^{*)} იხ. «ჩვენი დროშა»-ს გასული წლის ოქტომბრის № 7.

^{**}) მაგ. საფრანგეთში ითვლება 6.000.300.000 ხელოსანი მუშა. აქედან მხოლოდ სულ მცირე პროცენტი C. G. T-ს (კომუნისტურია) წევრია.

იც კარგათ გვესმის, რომ იარაღით დაცვა მხოლოდ მაშინაა ცხოველმყოფელი, როცა მას თან ახლავს ხელის შემწყობი ელემენტები. Commonwealth-ის 12 იანვრის საჯარო მიმართვა, სადაც სოციალურ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, მოწმობს, რომ ბრძოლის გზა ინგლისის მიერ სწორად არის აღებული. ან თავისთავად Commonwealth-ი? რა არის ის თუ არა ინგლისის მიერ ჩვენ თვალწინ მოხდენილი მშვიდობიანი რევოლუცია ეროვნულ და კოლონიალურ სფეროში? ინდოეთის დატოვება, მხოლოდ ისეთ ხალხს შეეძლო, როგორც ინგლისია; პოლიტიკაში მეტი გაბედულობის და წინდახედულობის აქტის წარმოდგენა შეუძლებელია. ეს იმას ამტკიცებს, ასეთ აქტის ავტორთ მოსკოვის დემოკრატთან გამკლავება არ გაუჭირდებათ; საჭიროა მხოლოდ ანგლო-საქსონთა შორის შესაფერისად როლების განაწილება: ინგლისის პოლიტიკა და ამერიკის ტექნიკა.

მოკავშირეთა შორის უთანხმოებას უნდა მიეწეროს აგრეთვე ევროპის ყველაზე ნევრალგიურ პუნქტში, გერმანიაში, მოსკოვის გათამამებული თავდასხმები.

დასავლეთის დაცვის საქმეში ევროპის ამ კუთხის მნიშვნელობაზე არაფერ არ დავობს. ეს უკვე საერთო აქსიომათაა ქცეული. მიუხედავად ამისა, გადიან წლები და მისი ორგანიზაციის საკითხი ადგილიდან არ იძვრის; მოკავშირენი ამ ამოცანას ბოლოდან მიუდგენ; უნდათ შეაიარაღონ გერმანია, მაშინ როდესაც დღევანდელ ვითარებაში ეს განუხორციელებელია; მოსკოვის წინააღმდეგობას რომ თავი დავანებოთ, თვით გერმანიაში არ ყავს ამას მომხრენი; შუაზე გაჭრილი, ზონებათ დაქუცმაცებული, დღევანდელი გერმანია, არც ერია, არც სახელმწიფო, ის მხოლოდ უცხო ადმინისტრაციის ქვეშ საოკუპაციო ტერიტორიაა. ასეთ მდგომარეობის დასაცველათ აისხამს იარაღს გერმანელი? ჯარისკაცი მოგვეცით და ჩვენ ღენერალს მოგვემთო, ეს ისეთი ფორმულაა, რომელიც არც ერთ გერმანელს არ გაიყოლებს.

ნიშნავს ეს იმას, რომ მოკავშირეთ არ ქონდათ და ან ეხლაც არ აქვთ გერმანიაში ნიადაგი? სრულებითაც არა; გერმანელი მთელი თავის ბუნებით ანტიბოლშევიკია. ასე იყო წინეთ და ასე დარჩა ეხლაც. გავიხსენოთ სპარტაკელების აჯანყება და სოც.-დემოკრატ ნოსკეს მიერ მისი სისხლში ჩახრჩობა. თვით პიტლერიზმი ბოლშევიზმის საწინააღმდეგო

უკიდურეს რეაქციით უნდა ჩაითვალოს. უკანასკნელმა ომმა კიდევ უფრო წაწვეტა ეს გრძნობა: ევროპის დიდ ერებში მხოლოდ გერმანიამ იკვება რეალურად მოსკოვის რეჟიმის სუსხი; კათოლიკური ბავარია, Bonn-ის მთავრობა, ადენაუერის მოსკოვთან შეურიგებელი ბრძოლა და ბევრი სხვა უტყუარათ მოწმობს ამ ხალხის გარდაუვალ სურვილს დასავლეთის ორბიტაში ყოფნისა; საჭიროა მხოლოდ ამ უკანასკნელმა ამას ნდობით მოეპყროს, ერის ჩაქედილ ძალებს გასაქანი მისცეს და როცა გერმანელი, პოლიტიკურ უფლებებით შეიარაღდება და თავისუფალ ერის შვილათ იგრძნობს თავს, ქვეყნის დასაცველათ ადვილათ აიღებს ხმალს.

ჩვენ ვასკვნით: საერთაშორისო შეტაკებას დღესდღეობით მოსკოვი გაუბრბის; ვფიქრობთ, რომ შემდეგშიდაც ეს მდგომარეობა ძალაში დარჩება: არ არის არავითარი საბუთი დავუშვათ, რომ შეიარაღების პროპორცია შეიცვლება მის სასარგებლოთ.

დასავლეთის განკარგულებაში კი უამრავი საშვალეებაა, რომ მოსკოვს კვალდაკვალ მიზნდოს და ბრძოლაში უომოთ მას გაუმკლავდეს.

ხშირად გაიგონებთ ემიგრაციაში: რას იმტვრევთ თავს მაღალ პოლიტიკის ირგვლივ? ვინ გეკითხებათ, ბალი ათ შაურათაა? ან კიდევ უფრო მკვახე ანდაზა—არა მკითხე მოამბესა, მიბეგვეს და მიაგდესა—; ღრმათ შემცდარია ასეთი აზრი.

მართალია, ჩვენ ასეთ რამეზე არავინ არაფერს არ გვეკითხება *); მაგრამ თვითვეული ქართველის უწმინდესი ვალია გარკვეულათ იცოდეს, რა მოუხდება მის ქვეყანას და რა აენებს მას. ომის წინააღმდეგ ჩვენ, ქართველებს, მარტო პუმანიური მოსახრება როდი გვალაპარაკებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ ჩვენი ერის ფიზიკური არსებობის საკითხიც არის ჩაქსოვილი.

გვ. გვეტკვარი.

*) ვიტყვი, საუბედუროთ: დასავლეთის დიდ კორიფეებს რომ ჩვენი მწარე გამოცდილებით ესარგებლნათ, შესაძლოა, დღეს მათი მდგომარეობა სხვა ყოფილიყო.

წარსულის მოსაგონებლათ.

(დამოუკიდებელ საქართველს დაგემის 30 წ. თავის გამო)

როცა ამ ოცდაათი წლის წინად საბჭოთა რუსეთის ჯარები საქართველოში შემოიჭრენ, მისმა მეთაურებმა ხმა გააერცვლეს, რომ საქართველოს «გასაბჭოება» შედეგი იყო ქართველი ხალხის აჯანყების შინაურ რეჟიმით უკმაყოფილების ნიადაგზე. მაგრამ მალე დაინახეს, რომ ასეთი განმარტებით ისინი ვერავის დააჯერებდნენ, ვერც შინ და ვერც უცხოეთში, რადგან ასეთ ქორების წინააღმდეგ აშკარად ლაპარაკობდა სისხლიანი ბრძოლები, წარმოებული ქართველი ხალხის და მის ახალგაზდა ჯარის მიერ საქართველოს თავისუფლების და იქ არსებულ წეს-წყობილების დასაცავათ.

მაშინ კომუნისტებმა მოიმარჯვეს პროპაგანდა დამოუკიდებელ საქართველოს ნივთიერ გასაჭირის შესახებ, რომლიდან თავის დაღწევა საქართველოს ვითომ არ შეეძლო, თუ არა რუსეთის დახმარებით. ამ პროპაგანდაში ისინი მარტო არ იყვნენ; მათ ამაში ეხმარებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა მტრები და უკმაყოფილონი საზოგადოთ. მდგომარეობა თითქოს ხელსაც უწყობდა იმათ ასეთ პროპაგანდისტვის: დამოუკიდებელი საქართველო ეკონომიურ გასაჭირს მართლა განიცდიდა.

ხალხ იყო ეს გასაჭირი ისე დიდი, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა იმას უნდა გადაელოდა? ან გამოიარეს, თუ არა, საქართველოს ოდენი გასაჭირი—და ხშირად გაცილებით უფრო მეტი—მრავალმა სხვამ, დიდმა და პატარამ, ძველმა და ახალმა სახელმწიფომ, როგორც შედეგი ომისა და რევოლიუციების? როგორი იყო იმ დროს თვით რუსეთის მდგომარეობა?

ყველაფერს ამას ხალხს უმაღლედნ და ცალმხრივი პროპაგანდის ბურუსში გახვეული საზოგადოება შეიძლება მართლაც დაერწმუნებიათ მათი პროპაგანდის საფუძვლიანობაში, რომ ხელახლა შემოსულ რუსეთს უდიდესი ნივთიერი გასაჭირი არ მოეტანა ჩვენში.

ხალხი არ მოტყუებულა; მაგრამ გაყალბებული ისტორია იმ ეპოქის, ტენდენციური ცნობები საბჭოთა მოხელეების და ქართველ ერისთვის დამამცირებელი სახით გადმოცემა მაშინდელ ამბების დაწერილი დარჩა. იმას იმეორებენ ახლა წლიდან წლამდის სასკოლო სახელმძღვანელოებში, იმით ეცნობა თავის ქვეყნის წარსულს ახალი თაობა, იმას კითხულობენ უცხოელები.

ოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, ვადა ადამიანის ცხოვრებაში ძალიან ხანგრძლივი. და თუ მაინც, ვისაც მაშინ უცხოვრია ტკბილათ იგონებს იმ დროს ამ სიშორიდან და სიამოვნებით იხედება იმ არა ხანგრძლივ წარსულისაკენ, ეს აიხსნება არა იმით მხოლოდ, რომ ქართველი კაცი უზვად სარგებლობდა მაშინ თავისუფლებას, ეროვნულს ისე, როგორც პიროვნულს, არამედ იმითაც, რომ მაშინ გამოცოცხლდა ქართულ საზოგადოებაში იმედი საქართველოს როგორც კულტურულათ, ისე ეკონომიურათ აღორძინების.

ჩვენს ირგვლივ თუ მიმოვიხედავთ და თვალს გადავაგვლებთ საერთაშორისო ცხოვრებაში ამ ოცდაათი წლის განმავლობაში მომხდარ ამბებს, ჩვენ დავინახავთ, რომ დრომ და პირობებმა, სხვა ქვეყნების მიერ განვლილ მდგომარეობის მაგალითებზე, გაამართლა ქართველი ხალხის იმედი მისი წინსვლისა და აღორძინებისთვის დამოუკიდებლობის და თავისუფლების პირობებში და მტრების მიერ სიცრუით შემუშრულს დამოუკიდებელ საქართველოს სახეს ჭუჭყი შობანა. პირუთენელი ისტორია კიდევ უფრო ცხადჰყოფს, რომ საქართველოს ადგილი უდავოთ თავისუფალ ერთა ოჯახში იყო და ამას აშართლებდა დამოუკიდებელი საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ყოფა-ცხოვრება.

რა ფაქტებს დაემყარება ისტორიკოსი?

უწინარეს ყოვლისა იგი აღნიშნავს, რომ 1918 წელი, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მეოთხე წელიწადი იყო უდიდეს საერთაშორისო ომის ყველა ქვეყნები იმ დროს ძალიან ვალარიბებული იყვნენ და განსაკუთრებით ისინი, საომარ ზონაში, საომარ ფრონტის ახლოს რომ იმყოფებოდნენ, როგორც საქართველო. სახნავ-სათეს მიწის ძალიან დიდი ფართობები წლობით იყო დარჩენილი დაუმუშავებლათ და ჩვენი ქვეყნის ისედაც ღარიბი მრეწველობა და აღებ-მიცემობა სავსებით იყო შეჩერებული. ასი ათასზე მეტი ჯან-ღონით სავსე ჩვენი ახალგაზდობა, შრომის ამტანი თაობა, ოთხი წელიწადია მოწყვეტილი იყო შრომას და სხვადასხვა ალაგას, საქართველოს გარედ, რუსის ჯარებში იყო გადანტული.

რუსის ჯარი ოსმალეთის საზღვრებიდან მოიხსნა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ კარი გაუღო ოსმალეთის ჯარებს სომხეთისკენ და საქართველოსკენ. დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიის (აჭარა და ქალ. ბათოში, ახალ-ციხის და ახალ-ქალაქის მხარე) ისე, როგორც სომხეთის, მტრმა დაიპირა. უცებ შექმნილი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო მალე დაიშალა და მთელი სიმძიმე დაშლილ სამხედრო ფრონტის ლიკვიდაციის საქართველოს დააწვა: რამდენიმე ასეული ათასი რუსის ჯარისკაცი და ჯართან დაკავშირებულ

მუშა-მოსამსახურე და თბილისში თავმოყრილ კავკასიის სანამესტინიკოს სამოქალაქო ჩინოვნიკობა მას (თბილისის ხანინას) უნდა დაეკმაყოფილებია: ჯერ უნდა ერჩინა ისინი და შემდეგ მათი ლიკვიდაცია მოეხდინა და შინ გაესტუმრებია. ამავე დროს, ომის დაწყებიდან სავსებით მოწყვეტილი ევროპის ქვეყნებს, საქართველო ახლა უკვე მრავალი თვის განმავლობაში სავსებით მოწყვეტილი იყო რუსეთსაც, რომელზედ იგი საუკუნოების განმავლობაში გადაბმული იყო და მისგან ეკონომიურათ დამოკიდებული: 1917 წლის ოქტომბრიდან ხომ არც ფულს, არც სანოვანს საქართველო იქედან სრულებით აღარ იღებდა.

ამნაირად, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდის ნივთიერი გაჭირვება დიდი იყო ჩვენში; ხოლო, რადგან შემდეგაც საქართველო საომარ მდგომარეობაში დარჩა,—ჯერ ოსმალეთის ჯარები უპირებდნენ მას აოხრებდას და მერე განუწყვეტლივ რუსის «თეთრი-გვარდიელები» თუ ბოლშევიკები, თითქმის მორიგეობით, არ აძლევდნენ მას მოსვენებას,—ახლად აღორძინებულ სახელმწიფოს დიდს საორგანიზაციო ხარჯებს ეს არაჩვეულებრივი თავდაცვის საომარი ხარჯებიც ემატებოდა. ჯარის და გვარდიის ხშირი მობილენაცია ართმევდა მუშა-ხელს სოფლის და ქალაქის მეურნეობას. ვინ უნდა დახმარებოდა დამოუკიდებელ საქართველოს?

ხელოვნურათ დაშორებული ევროპასთან მკიდრო საქმიან ურთიერთობას წინად, საქართველო მოწყვეტილი იყო იმას ახლა მსოფლიო ომის გამო და ტრანსპორტის სიძნელით: შავი-ზღვა დანადგული იყო, სრუტეები ჩაკეტილი. ცოტად თუ ბევრად რეგულიარული მიმოსვლა ევროპის ქვეყნებთან მხოლოდ 1920 წლიდან შეიქმნა შესაძლებელი. ჩვენი მეზობლები, სომხეთი და აზერბაიჯანი, ჩვენზე უარეს ნივთიერ გასაჭირს განიცდიდნენ. ერთისიტყვით, დამოუკიდებელ საქართველოს არსაიდან დამხმარე, არავინ მდგომარეობის შემამსუბუქებელი, მის ირგვლივ არსებულ პირობების გამო, არ ყავდა: არც სესხათ, არც სხვა სახით მას არავისგან ნივთიერი დახმარება არ მიუღია. ამ მხრივ დამოუკიდებელ საქართველოს ბალანსი სავსებით სუფთა იყო.

ასეთი არ ყოფილა სხვა ახალგაზდა სახელმწიფოთა მდგომარეობა არც ძველათ და არც ჩვენს დროში. ისტორია მოწმობს, რომ ყველას ყავდა აღორძინების პირველ ხანებში დამხმარე და მფარველი, მე სახეში მაქვს საზოგადოთ ნივთიერი დახმარება და არა დახმარება სამხედრო. ასე, ოსმალეთის უღლიდან განთავისუფლებულ საბერძნეთს, გასულ საუკუნის მეოცე-მეოცდაათე წლებში, დიდი დახმარება გაუწიეს საფრანგეთმა, რუსეთმა და განსაკუთრებით დიდ-ბრიტანეთმა; როცა ამ საუკუნის დასაწყისში შვეიცია და ნორვეგია ერთიმეორეს დასცილდნენ და პატარა სახელმწიფოებათ გადაიქცენ,

30263



თითოეულს იმათგან შერჩა საქმიანი ურთიერთობა გარეშე ქვეყნებთან, ერთ სახელმწიფოთ არსებობის დროიდან აწყობილი. ჩვენს დროში: ირლანდიას უდიდესი სამსახური გაუწია უცხოეთში. უმთავრესად ამერიკაში, გახიზნულმა მისმა მრავალ-რიცხოვანმა ემიგრაციამ; ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერიიდან გამოჩევილს პატარა ავსტრიის რესპუბლიკას უდიდეს დახმარებას უწევდენ მის არსებობაში დაინტერესებული გამარჯვებული სახელმწიფოები (ნაწილობრივ ჰუნგრეთსაც), ხოლო ჩეხო-სლოვაკიამ ხომ ფრიად განვითარებული მრეწველობა მიიღო მემკვიდრეობათ იმპერიიდან. რუსეთიდან გამოყოფილ პოლონეთისთვის, ლატვიისთვის, ლიტვისთვის, ესტონიისთვის—ფინლიანდიის შესახებ ხომ ზედმეტია ლაპარაკი—უდიდესი დამხმარე ძალა გამოდგა მათი გეოგრაფიული მდებარეობა, სახელდობ, მათი სიახლოვე დასავლეთის ქვეყნებთან.

თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები დიდი ხნის განმავლობაში თავს იჭერდენ რუსეთიდან გამოყოფილ ქვეყნების (გარდა ფინლიანდიისა და პოლონეთისა) იურიდიულათ ცნობიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, სამაგიეროთ ისინი ფაქტიურათ თავიდანვე მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობაში იყვენ რუსეთის ყოფილ იმპერიის ჩრდილოეთ-დასავლეთით აღორძინებულ ახალ რესპუბლიკებთან და პირდაპირ თუ არაპირდაპირ დიდს ნივთიერ დახმარებას უწევდენ იმათ. ამიტომ, თუმცა ამ ახალგაზდა რესპუბლიკებმაც, როგორც საქართველომ, გამოიარეს მსოფლიო ომის და რევოლიუციონურ ხანის დიდი გასაჭირი, მაგრამ დასავლეთ ევროპასთან სიახლოვემ და მასთან განუწყვეტელმა ურთიერთობამ მათ ძალიან შეუწყო ხელი ეკონომიურათ უფრო სწრაფათ აღორძინებისთვის, ვინემ საქართველო; მით უფრო, რომ იმ ქვეყნებში—ყოველ შემთხვევაში ზოგიერთში იმათგან—მრეწველობა და აღებ-მიცემობა ისე, როგორც სოფლის მეურნეობა, წინადაც უფრო განვითარებული იყო, ვინემ ჩვენში.

ასე, ლატვიის პატარა ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის ევროპიულ ნაწილის მხოლოდ ერთ მეასედ (1:100) ნაწილს წარმოადგენდა, გაჩაღებული იყო მრეწველობა, რომლის ნაწარმოები, პირველი დიდი ომის წინ, ევროპიულ რუსეთის მთელი წარმოების ოცდამეექვსედ (1:26) ნაწილს უდრიდა. ვერც პოლონეთის და ფინლიანდიის მრეწველობას, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის მრეწველობა ვერ შეედრებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების წინათაც. არ ყოფილა არც ერთი, თუნდაც სულ მცირე, ფაბრიკის ნაწარმოები, ჩვენ შორეულ რუსეთიდან ან უცხოეთიდან შემოსატანი რომ არ გვექონოდა ნორმალურ დროსაც, რანაირი ლა უნდა ყოფილიყო მდგომარეობა ახლა? ეს არ ყოფილა შედეგი საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის, უეცარი მდგომარეობა, არამედ ეს იყო ძველი რუსეთის უდიდესი დანაშაული, რომ მან ასეთი მდგომა-

რეობა შეუქმნა ნედლი მასალით მდიდარ საქართველოს ას წელიწადს იქ ბატონობის შემდეგ.

ბევრნაირი ნედლი მასალაც ჩვენი ქვეყნის, ძველად რომ დიდი მოთხოვნილება ჰქონდა საქართველოს გარედ (მარგანეცი, აბრეშუმი, თამბაქო), სავსებით მოსწყდა ჩვეულ ბაზრებს და აღარ იყიდებოდა, მაშინ როცა ბალტიის ქვეყნებისთვის, მაგალითად, კერძოდ მათი სოფლის ნაწარმოებისთვის, რომლის უმთავრესი მომხმარებელი წინად რუსის ბაზრები იყო (პეტერბურგი და მოსკოვი), ახლა სულ ადვილი შეიქმნა ევროპის, კერძოდ ინგლისის და გერმანიის, ბაზრებთან დაკავშირება, მათი სიახლოვის გამო.

შემდეგ, თუმცა საქართველო ზღვის მონაპირე ქვეყანაა, მას დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს არც ერთი ხეირიანი გემი არ დარჩა და სავსებით დამოკიდებული იყო შავ-ზღვაში შემთხვევით შემოსულ უცხოეთის გემებზე, რომლის ფრანტი—სხვა მრავალ დაბრკოლებას თავი რომ გავანებოთ—საშინელ ძვირათ ჯდებოდა, როგორც მისვლა-მოსვლისთვის საზოგადოთ, ისე საქონლის გადატან-გადმოსატანათ. ამავე დროს ზღვის ტრანსპორტი იყო მაშინ ჩვენთვის ერთადერთი საშვალეობა გარეშე ქვეყნებთან ურთიერთობისთვის. პატარა ესტონია თითქმის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანვე პატრონი იყო საკუთარ სავაჭრო ფლოტის, სახელდობ მას ყავდა: 66 ორთქლ-მავალი, 365 იალქნიანი და 98 მოტორიანი გემი; პატარა ლატვიასაც ყავდა: 20 ორთქლმავალი, 62 იალქნიანი და 9 მოტორიანი, სულ 34.249 ტონის ტევადობის სავაჭრო ფლოტი.

მრავალრიცხოვანი ემიგრაცია, ბალტიის ქვეყნებს რომ ყავდა უცხოეთში, უმთავრესად ამერიკაში, მათთვის დიდ დამხმარე ძალას წარმოადგენდა, როგორც თავის დედა-სამშობლოს ინტერესების დასაცავათ და მისი უფლებების პროპაგანდისთვის, ისე ეკონომიურათ. ჩვენ ევროპაში და ამერიკაში გადახიზნული თანამემამულეები (გარდა ერთეულებისა) არ გვეყოლია და ჩვენგან ევროპაში კაცის გაგზავნა, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ხანებში, თითქმის საისტორიო ამბავს წარმოადგენდა.

ევროპის ქვეყნებთან სიახლოვემ და მათთან თავიდანვე ადვილათ მოსახერხებელმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო იმასაც, რომ სხვა ახალგაზდა სახელმწიფოებმა ადრე მოახერხეს სესხის აღება უცხოეთის ფინანსიურ ბაზრებზე თავის ეკონომიურ მდგომარეობის გასამჯარებლათ. 1921 წლის დასაწყისში, ლატვიას ჰქონდა აღებულნი საგარეო სესხი 51.694.790 ოქროს ფრანკი; ლიტვას ჰქონდა სესხად მიღებული 300 მილიონ მარკამდე ფულათ, 4 მილიონი დოლარი საქონლით და 5 მილიონი დოლარიც ამერიკაში მყოფ თანამემამულეებიდან (ემიგრაციიდან). ასევე ისარგებლეს საგარეო სესხით ესტონიამ, პოლონეთმა, ფინლიანდიამ და სულ ზედმეტია ხომ და-

პარაკი ავსტრიის შესახებ: პირველ სამი წლის განმავლობაში, 1919—1922 წ. წ., პატარა ავსტრიამ მიიღო სესხათ უცხო სახელმწიფოებიდან 75 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც ვსთქვი, ამ მხრივ დამოუკიდებელი საქართველო: სავსებით მოწყვეტილს გარეშე ქვეყნებს თითქმის სულ უკანასკნელ დრომდის, მას არც სესხათ და არც რაიმე სხვა სახით ნივთიერი დახმარება არავისგან მიუღია და მხოლოდ საკუთარ საშვალელებით იკმაყოფილებდა სრულიად არა ჩვეულებრივ საორგანიზაციო და თავდაცვის ხარჯებს. ამას ვერ დაივიწყებს პირუთენელი ისტორიკოსი.

* * *

ყოველივე ეს, ძალიან მოკლედ ზემოთ ნათქვამი, უნდა გავიხსენოთ და ისე დავსვათ საკითხი: როგორ ერეოდა თავის სახელმწიფო მოთხოვნილებებს—იმასაც ძალიან არაჩვეულებრივს—დამოუკიდებელი საქართველო? იყო იგი სხვა ქვეყნებთან შედარებით იმ დროს მართლა უმწეო მდგომარეობაში და ილუპებოდა, როგორც ეს უნდათ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს ჩასწერონ ისტორიაში?

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, როგორც ეს საზოგადოთ ხდება, უწინარეს ყოვლისა მის სახელმწიფო ბიუჯეტში აღიბეჭდა. უკანასკნელი, 1919—1920 წ., სახელმწიფო ბიუჯეტი დამოუკიდებელ საქართველოსი ფაქტიურათ, ე. ი. შესრულების შემდეგ და თანახმად სინამდვილეში გაწეულ ხარჯებისა, წარმოადგენდა:

გასაქვლი	3.252.813 ათას მანეთს.
შემოსავალი	771.059 » »
გასაქვლი სწარბობდა შემოსავალს	2.481.754 » »

ესე იგი: საქართველოს, მისი ისტორიის განსაკუთრებულ და გარდამავალ ხანაში, დაუფარავს საკუთარ საშვალელებით სახელმწიფო ხარჯების მხოლოდ 23,6 პროცენტი.

ამ გარემოებას სარგებლობდა ბევრი, რათა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის წესი აეგო და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის უილაჯობა ქვეყნისთვის ემცნო. რა თქმა უნდა, მდგომარეობა არ იყო სანატრელი. მაგრამ, მოეთხოვებოდა განა ახალგაზდა სახელმწიფოს, როცა იგი ომიდან და რევოლიუციიდან არ იყო კიდევ სავსებით გამოსული, მეტი, ვინემ იმ დროს უკეთეს პირობებში მყოფთ ახალ და მრავალ შემთხვევაში მაზედ უფრო ძველთ და ძლიერ სახელმწიფოებს? გავიხსენოთ ამის მაგალითები სულ სხვადასხვანაირ სახელმწიფოში.

დაფარული იყო სახელმწიფოს შემოსავლით სახელმწიფო ბიუჯეტის (1919—1920 წ. წ.):

საქართველოში	23,6	პროცენტი
პოლონეთში	22,0	»
ესტონიაში	21,7	»
იტალიაში	29,8	»
ბელგიაში	35,0	»
გერმანიაში (დაახლოებით)	11,7	»

საფრანგეთშიც კი, მთელ მსოფლიოში ეკონომიურ თვალსაზრისით უდიდეს პრესტიჟით რომ სარგებლობდა, 1914 წლის 1 აგვისტოდან 1920 წლის 31 ივლისამდის, სახელმწიფო შემოსავალი უდრიდა 43,3 მილიარდ ფრანკს, ხოლო გასავალი 223,3 მილიარდს, ე. ი. შემოსავალით დაფარული იყო ამ ხნის განმავლობაში ხარჯების მხოლოდ 19,4 პროც. (პროფ. გ. ქუზ.); ომის გათავების მიმყოფ პირველ ხანაშიც შემოსავლით დაფარული იყო ბიუჯეტის მხოლოდ 33,2 პრ. (1919 წ.).

ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ცხოვრების დონე ჩვენში იმავე სიმაღლეზე იდგა მაშინ, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში—ეს არც სხვა დროს ყოფილა—ხოლო მოყვანილი მაგალითები იმის მაჩვენებელია, თუ რამდენათ იმ დროს ბიუჯეტის წონასწორობა დარღვეული იყო თვით ძველ და მდიდარ სახელმწიფოებშიც ისე, როგორც ახლებში: მეტად მძიმე ნივთიერი მდგომარეობა არსებობდა ყველა ქვეყნებში, სადაც ადგილი ჰქონდა ომს და რევოლიუციას. მაგრამ ყველა ამ ქვეყნებმა რამდენიმე წლის განმავლობაში დასძლიეს ამ გაჭირვებას. რატომ მაინცდამაინც საქართველო დაიღუპებოდა ასეთ მდგომარეობით—არსებულთ გარდამავალ და სრულიად განსაკუთრებულ პირობებში—თუ იგი რუსეთს არ დაუბრუნდებოდა, რომელიც, აღნიშნით ესეც სხვათა შორის, თავის შემოსავლით ფარავდა ამ დროს (1920 წ.) სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 13,1 პროც. (პროფ. ს. ნ. პროკოპოვიჩ)?

როგორც ყველა სახელმწიფოები თავის ისტორიის მძიმე და გარდამავალ ხანაში, საქართველოც ამ დროს ქალაღის ფულით ფარავდა თავის ხარჯების უდიდეს ნაწილს. მით უფრო გასაგები იყო ეს ზომა საქართველოს პირობებში, რომ ეს ქალაღის ფული იმას სახელმწიფო სესხის მაგიერობას უწევდა. მაგრამ ბევრმა გამოიყენა ეს გარემოებაც შიგნით საზოგადოების დასაშინებლათ და გარედ დამოუკიდებელ საქართველოს დასამცირებლათ. პირუთენელი მემატინე აქაც თავისას იტყვის.

სახელდობ, იგი აღნიშნავს შემდეგს: როცა დამოუკიდებელი საქართველო წაიქცა, 1921 წლის დასაწყისში, როგორც მას, ისე არცერთ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს—და ბევრს ძველსაც—მტკიცე ფული არ ჰქონდა და ისინი შემდეგაც დიდხანს ქალაღის ფულის საბეჭდავ მანქანას ფართოდ სარგებ-

ლობდენ. ქალაქის ფულმა ზოგ ქვეყნებში სახლაპრო, ერთ გამოუთქმელ რაოდენობას მიიღწია, მაგრამ ამ მიზეზის გამო ეს ქვეყნები არ წაქცეულან. რატომ წაიქცეოდა მინცდამინც საქართველო. თუ ამ მხრივ იგი, როცა დაიპყრეს, გაცილებით უფრო ბედნიერ პირობებში იმყოფებოდა?

თავი რომ გავანებოთ გერმანიას, სადაც გამოცემულ ქალაქის ფულის რაოდენობა რაღაც ფანტასტიურ ციფრში—496.000 ტრილიონ გერმანულ მარკაში—გამოიხატებოდა, გამოცემული იყო ქალაქის ფული:

პოლონეთში	596.244 მილიარდ პოლ. მარკის
ავსტრიაში	5.557 » კრონის
საქართველოში	19 » მანეთის *)

ესე იგი: მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა დაახლოებით:

პოლონეთში	22.080 მილიონი მარკა
ავსტრიაში	829 » კრონა
საქართველოში	8 ათასი მანეთი **)

ხოლო ქალაქის ფულის რაოდენობას მინც იმდენი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი მის რეალურ ღირებულებას, მისს კურსს. დამოუკიდებელ საქართველოში მისი ფულის სულ უმდაბლესი კურსი საუკეთესო ფულთან, ამერიკის შეერთებ. შტატების დოლართან, შედარებით უდრიდა (1920 წ. დეკემბერში) 5.500 მან. ერთი დოლარი; არას დროს ქართული ფულის ნიშანი უფრო არ დაცემულა დამოუკიდებლობის ხანაში.

1923—1925 წლებში, ე. ი. ფულის რეფორმის წინა ხანაში, ერთ ამერიკულ დოლარში იძლეოდენ:

გერმანიაში	3.900 მილიარდ მარკას ***)
პოლონეთში	10 მილიონ მარკას
ავსტრიაში (სტაბილიზაციის კურსით)	70 ათას კრონას.
ჰუნგრეთში	» » 70 » »

რამდენი ფულის ნიშანი იყო იმ დროს გამოშვებული საბჭოთა კავშირში, ერთმა ღმერთმა თუ იცის; იგი ძნელია გამოსარკვევად და კიდევ უფრო ძნელი იქნება იგი ციფრებში აღსანიშნავად, ვინემ ზემოთ მოყვანილი ფულის რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში. ფასობდა კი რუსის ქალაქის ფული, იმის რეფორმის წინ, 97 მილიონს ერთს ოქროს მანეთში (ბ. კეინესის ცნობით) ანუ 190 მილიონ მანეთს დაახლოებით ერთ დოლარში.

რა დახმარების გაწევა შეეძლო ფულით საქართველოსთვის ასეთი ფულის პატრონს საბჭოთა რუსეთს? რაც შეეხე-

*) უფრო ზუსტათ—18.940 მილიონ მანეთის, მისი წილი ამერ-კავკასიის ბზნების მითვლით.

**) უფრო ზუსტათ—7.888 მანეთი.

***) ერთი გირვანქა სტერლინგი ფასობდა ლონდონში 19.500 მილიარდ გერმ. მარკათ.

ბა სურსათით დახმარებას, ისიც ხომ ცნობილია, თუ რა დიდ სასურსათო კრიზისს განიცდიდა სწორეთ ამ დროს (1921—1922 წ. წ.) საბჭოთა რუსეთი.

პირიქით, საქართველოში შემოსულმა რუსეთმა კაიხანს ისარგებლა თვითონ დამოუკიდებელ საქართველოს ფულის ნიშნით და, თუმცა ამ ფულის ნიშნის ბეჭედა საბჭოთა ხელისუფლებამ მოუმატა წინად სრულიად უჩვეულო ზომით (დაბეჭდეს 1921 წ.—195 მილიარდი, 1922 წ.—878 მილიარდი), დამოუკიდებელ საქართველოს ემბლემით გამოშვებული ფულის ნიშანი მაინც საუკეთესო ფული იყო საბჭოთა კავშირში არსებულ ყველა ფულის ნიშნებზე. მოსკოვის მთავრობა სარგებლობდა იმას ჩვენში უცხო ვალიუტაზე გადასაცვლელათ და საქონლის შესაძენათ და თბილისი ასეთ ოპერაციებისთვის დიდი ხნის განმავლობაში უფრო ხელსაყრელი იყო საბჭოთა მთავრობისთვის, ვინემ საბჭოთა კავშირის სხვა, რომელიმე კუთხე ან თვით მოსკოვი. საქართველოს ფულის უპირატესობას არ უარჰყოფდენ შემდეგ თვითონ ბლოშევიკები.

დასასრულ, მიუდგომელი ისტორია იმასაც იტყვის, რომ, რამდენათ დამოუკიდებელი საქართველო გარეშე შტრების შემოსევიდან ისვენებდა და რამდენათ მისი გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულების საშვალეებში უმჯობესდებოდა, იმდენათ საქართველოს სახალხო მეურნეობა საერთოდ წინ მიდიოდა. ამ მხრივაც საქართველო სხვა მრავალ მის მდგომარეობაში მყოფ, ომისა და რევოლიუციების გამო, ქვეყანას ბევრით უკან არ ჩამორჩენია.

სოფლის მეურნეობაში: ნათესების ფართობები უდრიდა (ათასობით ჰექტარი):

	1913 წ.	1920 წ.	პროცენტი:
საქართველოში	697,9	622,3	89
ლატვიაში	1.058,0	793,0	75
ლიტვაში	1.365,0	1.300,0	95
პოლონეთში	12.535,0	7.817,0	62
საფრანგეთში (პური)	6.542,0	5.093,0	78

ძალიან შემცირდა ჩვენში სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურის ზოგიერთი დარგები (კერძოდ, მებაბრეშუმეობა და მეთამბაქოობა), უმთავრესად ძველ და შეჩვეულ ბაზრებს თითქმის 1914 წლიდან (აბრეშუმში) სავსებით მოწყვეტის გამო; მაგრამ მეურნეობის ამ დარგსაც გამოკოცხლება დაეტყო. ასე, აბრეშუმის მოსავალი უდრიდა (ნედლი პარკის):

1917 წელს	42 ათას ფუტს
1920 »	50 » »
1921 »	85 » »

ამ უკანასკნელი წლისთვის მებაბრეშუმეობის სამზადისი (თესლის შექმნა და დარიგება) დასრულებული იყო, როცა საქართველოში «საბჭოები» შემოვიდნენ.

სამწუხაროთ, ამასვე ვერ ვიტყვით მეთამბაქოობის შესახებ, რომლის შემცირებაც მრავალი განსაკუთრებული პირობები თან დაყვა და მეურნეობის ამ დარგის აღდგენა მეტ დროს მოითხოვდა, ვინემ მებაბრეშუმეობის*).

მრეწველობაში: უმთავრესი მიზეზი დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიურ გასაპირის ის იყო, რომ იქ მრეწველობა არ იყო განვითარებული; ყველაფერი გარედან ვეჭონდა და შემოსატანი, ხოლო ვაკეთება სამი წლის განმავლობაში—ამისთვის საუკეთესო პირობებიც რომ ყოფილიყო—იმის, რაც საუკუნის განმავლობაში არ ვაკეთებულა, შეუძლებელი იყო. დანაკლისი ამ სფეროში თითქმის ყველა სხვა ახალ სახელმწიფოებზე უფრო მეტად—მე არ ვეხები აქ ჩვენს მეზობლებს სომხეთს და აზერბაიჯანს—ემჩნეოდა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას. რისი ვაკეთებაც მოსახერხებელი იყო იმ პირობებში, ის მაინც კეთდებოდა და მდგომარეობა ამ მხრივაც უმჯობესდებოდა.

ასე, საქართველოს უმთავრეს წარმოების, უიათურის მარგანეცის საქმე, 1914 წლიდან სავსებით შეჩერებული იყო უცხოეთის ბაზრებიდან ჩამოცილების გამო. იყო დამზადებული მარგანეცი (ტონობით):

	დამზადებული:	გატანილი:
1918 წელს	26.200	67.200
1919 »	54.100	42.600
1920 »	119.600	183.600

ამ დარგში, სხვათა შორის, საბჭოთა ხელისუფლება კაი ხანს სარგებლობდა დამოუკიდებლობის დროს მოწყობილ საქესპორტო მონოპოლიის ორგანიზაციით.

ქვანახშირი დამზადებული იყო:

1917 წელს	62.300 ტონი
1920 წელს	90.200 ტონი

*) ადგილი რომ ნებას გვაძლევდეს, ურიგო არ იქნებოდა აქაც აღნიშვნა მეტი მაგალითების; გავიხსენოთ მხოლოდ, რომ მაგალითად, პოლონეთში შაქარის წარმოება 6.523 ათას კინტალიდან (1913—1914 წ.) დაეცა 963 ათას კინტალამდის (1919—1920 წ.); ლატვიამ გაიტანა უცხოეთში 1920 წ. მხოლოდ 7919 ტონი სელი 149.000 ტონის მაგიერ 1913 წელში და სხვ.

ეს არ არის ბევრი, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ უდიდესი რაოდენობა დამზადებული ქვანახშირის ჩვენში არასოდეს ასულა ამ ზომამდის, იგი არ აცილებია 73.600 ტონს (1915 წ.).

მოწყობილი იქმნა ზოგი ახალი წვრილი წარმოებანი: საპნის, ასანთის, ქიმიური და სხვ. დაარსდა ახალი ბანკები, ვითარდებოდა კოოპერატიული მოძრაობა.

გაუმჯობესება ეტყობოდა ჩვენს სავაჭრო ბალანსაც, თუმცა იგი ძალიან პასიური იყო. იგი უდრიდა (მილიონობით მანეთი):

	იმპორტი:	ექსპორტი:
1918 წელს (7 თვის)	140,9	153,0
1919 »	962,8	383,0
1920 » (11 თვის)	2.592,2	1.332,7

პირველი შვიდი თვის დამოუკიდებელ საქართველოს სავაჭრო ბალანსის აქტიური ხასიათი არ შეიძლება, სამწუხაროთ, ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის აღებ-მიცემობის დამახასიათებლათ; ჩვენი სავაჭრო ბალანსი პასიურია, მაგრამ მას მაინც გაუმჯობესება ეტყობოდა: ექსპორტი წარმოადგენდა იმპორტის:

1919 წელს	39,8 პროცენტს
1920 »	51,4 »

რაკი გაუმჯობესდა ტრანსპორტი ზღვაზე, მოხერხდა გატანა უცხოეთში მარგანეცის და სხვაგვარ ნედლი მასალის, სავაჭრო ბალანსიც გაუკეთესდა.

1920 წლის მიწურულში დამოუკიდებელ საქართველომ მოაწყო პირველი ეკონომიური შეთანხმებები ევროპის ქვეყნებთან და მათი ცხოვრებაში გატარება უსათუოდ ზელს შეუწყობდა, როგორც სახალხო მეურნეობის აღდგენას და ზოგიერთ ახალ დარგების მოწყობას, ისე ფულის საკითხის მოწესრიგებას. ეს პირველი ნაბიჯი იყო, მხოლოდ ახლა პირველათ ეძლეოდა საქართველოს საშვალება ესარგებლა იმ გარემოებით, რომლით ყველა ახალგაზდა სახელმწიფოები თავიდანვე სარგებლობდნ.

საერთაშორისო მდგომარეობა უმჯობესდებოდა, ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობა უკეთესდებოდა.

1921 წლის იანვარში ევროპის სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებლობაც იცნეს იურიდიულათ და ამერიიდან იგი შედიოდა საერთაშორისო ოჯახში, როგორც

სრულუფლებიანი წევრი. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი საზღვრების ხელშეუხლებლობა ამ დროს უკვე ნაცნობი იყო და აღიარებული საბჭოთა რუსეთის მხრივაც, უნდა დავასკვნათ: 1921 წლის დასაწყისში ყველა ნიშნები არსებობდა იმის, რომ საქართველოს დალუპვა კი არ მოელოდა ეკონომიურ გასაპირის ნიადაგზე, არამედ მას უფრო ფართო გზა ეხსნებოდა ეკონომიურ სფეროში და მეტი საშვალეობა ეძლეოდა ეკონომიურ განვითარებისათვის, ვინემ აქნამდის. ასეთი იყო ამბების მიმდინარეობა და ლოლიკა საქმეთა ვითარების.

და აი სწორეთ ამ დროს, ე. ი. როცა აშქარავდებოდა ყველა ნიშნები საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობის და განვითარების სრული შესაძლებლობის, მას თავს დაეცენ და აიძულეს იგი ისევ რუსეთს დაბრუნებოდა...

ეს არის ნამდვილი ამბავი, შეიძლება ზოგისთვის—და მათ შორის ჩვენი ახალ თაობებისთვის—რამდენიმეთ კიდევ უცნობი; ამიტომ იგი ღირსია მოგონების და კიდევ უფრო ვრცლად შესწავლის ყველას მიერ, ვისაც ჩვენი ქვეყნის ახლობელი წარსული აინტერესებს.

ვინ იტყვის, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ნაკლი არ ჰქონდა, რომ იგი ნივთიერ გასაპირს არ განიცდიდა? მას, როგორც ყოველ ახლად დაწყებულ საქმეს, რა თქმა უნდა, შეცდომებიც ექნებოდა. ამ ნაკლის და ამ შეცდომების ჩვენება დიანაც საჭიროა, ეს უფრო სწორ გზას დაანახევებს მომავალ თაობას: წინა კაცის უკანასი ხიღია. მაგრამ მხოლოდ ცუდის თქმა და კარგის განხრახ მივიწყება, სუსტი მხარეების გახვიადება, მაშინდელ გასაპირის ცალმხრივით გაშუქება, დაუსახელებლათ მაშინდელ საერთაშორისო პირობებისა და იმის გაუხსენებლათ, თუ რა ხდებოდა იმ დროს—და რა მოხდა ამ მეორე დიდი ომის დროსაც—სხვა ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში, საჭირო არის და სასარგებლო მხოლოდ საქართველოს დასამცირებლათ, სულერთია დამოუკიდებელი სახელმწიფოა იგი, თუ დიდი იმპერიის შემადგენელი ერთი მცირე ნაწილი.

აღნიშვნა კი იმ სინამდვილის, რომ საქართველო თავის ისტორიის მეტად რთულ პირობებში მარტოდ-მარტო, მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობილი უმკლავდებოდა იმ

სიძნელეებს, სხვა ქვეყნებს უკეთეს პირობებში და გარეშე დახმარებით რომ დაუძლევიათ, ამაღლებს ქართველ ერს. ეს მოწმობს იმას, რომ საქართველოს ახლაც ისე, როგორც ყოველთვის მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ყოფნიდა თავისი საკუთარი ნიჭი და მოხერხება, რათა მას, აღჭურვილს თავისი ხალხის უდიდეს სიყვარულით თავისუფლათ არსებობისთვის, საკუთარ საშვალეებებით დაექმყოფილებია თავისი მოთხოვნილებანი. ამ მხრივ იგი ახლაც ბევრით უკან არ ჩამორჩენია სხვა მისივე პირობებში მყოფ და მის შემდეგაც დამოუკიდებლათ დარჩენილ პატარა ერებს.

უმაღვრესი წყაროები:

საქართველოს შესახებ: სახელმწიფოს ბიუჯეტები; კერძოდ, «ნუსხა 1919 წ. I ივნისიდან 1920 წ. I ივნისამდე გაწეულ ხარჯების» (მე-III და მე-VI დამატება 1920—1921 წ. სახ. ბიუჯეტის პროექტისა).—პროფ. გ. გეხტმანი «საქთველოს ეკონომ. გეოგრაფია».—სტატისტიკრებული «საბჭოთა საქართველოს 10 წელი».—სტატისტიკრებული «ხაკავაზი» (რუსულათ) 1925 წ.—D. Abkhazi: «საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები» (ფრანგულათ).—მისივე: «მოკლე სტატისტიკონობები საქ—ს ეკონომ. მდგომარეობის შესახებ» (რუსულათ).—ცნობები საქ—ს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.—ცნობები საქართველოს მთავარ. საბაჟოსი.—და სხვ.

სხვა ქვეყნების შესახებ და საერთო (ფრანგულათ): M. A. Heilperin: «ლე პრობლემ მონეტერ დ'აპრე გერრ ე სა სოლუსიონ ან პოლონ, ან ოტრიშ ე ან ჩეკოსლოვაკი». პარიზი 1931.—«ინვანტერ დე ლა სიტუასიონ ფინანსიერ (1913—1946) ან ფრანს, 1946».—რევიუ ბალტიკ, ოკტობრ 1918.—«ლა ლეტონი, ეტა აკტუელ ე პოსსიბილიტე დ'ავენირ დ'იუნ დე რეპუბლიკ ბალტიკ» 1922, რიგა.—მემუარ სიურ ლა ლიტუანი, ენევე, 1920.—რაპორტ დიუ კომიტე ფინანსიერ დე ლა სოციეტე დე ნასიონ სიურ ლა სიტუასიონ ეკონომიკ ე ფინანსიერ დე ლ'ესტონი.—ბიულეტენ დე ლ'ესტონი, მაისი 1923, პარიზი.—«რეკონსტრუქსიონ ფინანსიერ დე ლ'ოტრიშ», ნაკიათა ლიგის გამოცემა.—C. Laford et P. Defeuilles: «ლა პოლონ ოტრავი».—Prof. G. Jese «კურ დე სეანს დე ფინანს ე დე ლა ლევისლაციონ ფინანსიერ ფრანსეზ» პარიზი 1922.—I. M. Keynes: «ლა რეფორმ მონეტერ».—Larousse Commercial.—ანუერ ენერალ დე ლა ფრანს ე დე ლ'ეტრანჟე.—ს. ნ. პროკოპოვიჩ (რუსულათ): «ოჩერკი სოვეტსკაგო ხოზი-აისტვა», ბერლინ.—და სხვ.

საქართველოს თავისუფლების

პირველი მოსკოვის 150 წლის თავზე.

ქართველ ერს თავის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არა ერთხელ განუცდია უცხო დამპყრობელთა შემოსევა, უცხო უღელი. აწიური იმპერიალიზმის ხშირი მსხვერპლი იყო ქართველობა. მაგრამ მას არასოდეს არ დაუკარგავს სახეებით თავისუფლება. არასოდეს გამხდარა შემოჭრილ მტერთა პროვინციათ, არ შეერთებია უცხო სახელმწიფოს როგორც მისი ორგანიული ნაწილი.

ასეთი უბედობა მას თავს დაატყდა პირველათ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, 1801 წელს, როცა რუსეთის მეფეებმა პავლე პირველმა და ალექსანდრე პირველმა თავისი ბრძანებით გააუქმეს მეფე ერეკლესან დადებული ხელშეკრულება, მოსპვეს ძალით მეფეთა დინასტია და საქართველო გამოაცხადეს რუსეთის გუბერნიათ. ამით დაამთავრეს სამხრეთ-საზღვრების გაფართოება სპარსეთ-ოსმალეთამდე.

ეს დიდი ხნით დაკარგული თავისუფლება ქართველმა ერმა ამოიგო 1918 წელს, გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფო და შეუდგა თავისი თავისუფალი სამშობლოს პატრონობას, მის მოწყობას და აშენებას.

საბჭოთა რუსეთმა იცნო ეს ფაქტი, დასდვა საქართველოს მთავრობასან ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო გამოცხადა სუვერენულ სახელმწიფოთ. განვლო რამდენიმე თვე და განმეორდა მეფეთა შემოჭრა. 1921 წელს სრულიად მოულოდნელათ, ომის გამოუცხადებლათ, მოსკოვის ჯარები შემოიჭრა საქართველოში და ეჭვის კვირის ომის შემდეგ ის დაიპყრო და გამოაცხადა თავის პროვინციათ.

ეს ერთი და იმავე მოვლენის განმეორება რუსეთის სხვადასხვა მთავრობის მიერ ნათელ ყოფს მათ საერთო საგარეო პოლიტიკას. ეს არის რუსეთის შეუჩერებელი მუდმივი გაფართოება, მეტი ტერიტორიის, მეტი თავისუფალი ხალხების შემოერთება და მათზე გაბატონება. ბოლშევიკური მთა-

ერობა ახორციელებს მეფეთა ამ საგარეო ხაზს და მით სავსებით გამოეყო დასავლეთის საგარეო პოლიტიკას. ევროპის სახელმწიფოთა ძველი კოლონიალური პოლიტიკა გამოიწვია ინდუსტრიის განვითარებამ: ახალი სავაჭრო ბაზრების შექმნამ და იქიდან ნედლი მასალის შემოტანამ და დამზადებული საქონლის გატანამ. ეს იყო წმინდა ეკონომიური მოვლენა.

რუსეთს ასეთი მიზეზი არასოდეს ქონებია და არც დღეს აქვს. მისი ინდუსტრია მის ქვეყანას არ ყოფნის; მას არ აკლდა არც ტერიტორია, არ აკლდა სანოვაგე, არ აიძულებდა რაიმე ეკონომიური მოთხოვნილებანი უცხო ერების დაპყრობას. დასავლეთმა თავისი კოლონიალური პოლიტიკა ომის შემდეგ შესცვალა. ინგლისი გამოვიდა ინდოეთიდან და დაკმაყოფილდა ხელშეკრულებათა დადებით; საფრანგეთიც ამ გზას დაადგა. ერთისიტყვით, ევროპის საგარეო პოლიტიკა სავსებით შეცვლილია. ერთად-ერთ რუსეთს არ შეუცვლია ეს პოლიტიკა; ახლაც, ისე როგორც წინეთ, იპყრობს ახალ ტერიტორიებს ომით და შინაგანი აფეთქებით. სხვა ომში გამარჯვებულ სახელმწიფოს ერთი ციდა უცხო ტერიტორია არ შეუერთებია.

ამით ამჟამათ მრავალ საგარეო საკითხებს მიემატა ერთი, მთავარი—ჩადგეს რუსეთი თავის ნაციონალურ კალაპოტში და მით შექმნას მეზობელ ერებთან ნორმალური ურთიერთობა. ამჟამათ კი რუსეთი გამოეყო ამ საკითხშიაც ევროპა-ამერიკას, ის არ სცნობს ატლანტიკის პაქტს, სადაც ნათლათ სწერია: «გაძლიერება ერთა შორის გულითადი ურთიერთობის, რაიცა უნდა დაემყაროს პრინციპზე—პატივისცემა უფლების და თავისუფლების ხალხთა თვითგამორკვევის და თავისი ცხოვრების აწყობის». ამჟამათ ერთათ-ერთი საბჭოთა სახელმწიფო არ სცნობს ამ დეკლარაციას და მიილტვის დაიპყროს რაც შეიძლება მეტი ერი და თავის მორჩილათ გაიხადოს.

თუ საქართველოს პირველი დაპყრობა დიდხანს გასტანა, ეს მორე დაპყრობა იქნება მოკლე დროის; საბოლოათ გამარჯვებს პრინციპი ერთა თავისუფლების და საქართველო დაიბრუნებს თავისუფალ არსებობას. აღსდგება ძველი კლასიკური ერი და დაეპატრონება თავის თავს.

იგივე.

28 იანვრის კრება პარიზში.

ერთს წელზე მეტია, რაც პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა წარმომადგენლების თათბირმა აირჩია შემათანხმებელი კომისია უცხოეთში ეროვნულ ცენტრის დასაარსებლათ. ამ ხნის მანძილზე დიდი მუშაობის შემდეგ დარჩა მხოლოდ მოსაგვარებელი საკითხი ნაციონალურ მთავრობასთან თანამშრომლობის შესახებ და უკანასკნელი ცდა გაკეთებული უნდა ყოფილიყო ამ საკითხის სასურველ მოსაგვარებლათ, მაგრამ კომისიის წევრებმა გაბაშვილ-ზურაბიშვილმა, კომისიის დაუკითხავათ, მოიწვიეს საზოგადოების მცირე ჯგუფი, აირჩიეს ორგანო, რომელსაც დაარქვეს «ეროვნული ცენტრი უცხოეთში»... გამოუშვეს დეკლარაცია. ამ გამთიშველ ნაბიჯს არ შეეძლო აღშფოთება არ გამოეწვია როგორც საზღვარ-გარეთ, ისე აქ და სწორედ 28 იანვარს პარიზის ქართველ საზოგადოების მრავალრიცხოვანმა კრებამ ერთხმად დაგმო ასეთი განხეთქილების შემოტანა ქართველ ემიგრაციაში; მან გამოაცხადა არ არსებულად მათ მიერ შექმნილი «ცენტრი» და სურვილი გამოთქვა არჩეული ყოფილიყო კომისია შესაქმნელად ისეთი ეროვნული ცენტრის, სადაც თავს მოიყრიდა ყველა ეროვნული ძალები. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი რ. გაბაშვილი და მისი მეგობრები კრებაზე მოწვეული არ ყოფილან, მაინც გამოცხადდენ, ილაპარაკეს და საბუთად მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯისა მხოლოდ კომისიის მუშაობის ტექნიკური დაბრკოლებები აღიარეს. ყველაზე გაუგებარი და განსაცვიფრებელი ის არის, რომ ამ პარტიზანული მოქმედების მეთაურთაგანია ქართველთა კოლონიის თავმჯდომარე ლ. ზურაბიშვილი, რომელიც ტრადიციულად უნდა ყოფილიყო მთლიანობის დამცველი და გამომხატველი. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პარიზში მყოფი მემარჯვენე ემიგრაციის ერთი ნაწილი ჩაუფიქრდება მის მიერ მოხდენილ მარცხს და მსგავს გამოხვლებს ადგილი აღარ ექნება.

დღევანდელი მძიმე პოლიტიკური ვითარება ყველას მოგვიწოდებს შეერთება-შეთანხმებისაკენ.

ღამსწრე.

ქართულ-ამერიკელთა ლიგა.

ნიუ-იორკიდან ჩვენს რედაქციას, 30 იანვრის, 1951 წლის თარიღით, ატყობინებენ შემდეგს:

ნიუ-იორკში დაარსდა ქართველ-ამერიკელთა ლიგა, ანტი-კომუნისტური ორგანიზაცია. ლიგის მიზანია საქართველოს განთავისუფლება, მისი სრული დამოუკიდებლობის აღდგენა. ყველასათვის ცხადია, რომ ვაშინგტონი დღეს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის უდიდეს ცენტრს. აქ იქნება მიღებული გადაწყვეტილებანი, რაზედაც დამოკიდებულია ერების მომავალი ბედ-იღბალი. ჩვენი ინტერესები აუცილებლად მოითხოვს ამ გადამწყვეტ მომენტში აქ ისმოდას საქართველოს ხმა.

სწორედ ამ მოსახრებით დაარსდა ამერიკაში ზემოხსენებული ლიგა უპარტიო ორგანიზაცია, რომლის წევრად შეიძლება იყვეს ყოველი ქართველი, რომელსაც სურს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის.

ლიგის უახლოეს მიზანს წარმოადგენს ამერიკაში საზოგადოებრივი აზრის მომზადება და კავშირის დამყარება ამერიკელ მთავრობასთან, რათა გაშუქებულ და გაცნობილ იქნეს ყველა საკითხი, რაც საქართველოს ეხება.

დარწმუნებული ვართ ევროპაში მყოფი ქართველთა პოლიტიკური ორგანიზაციები ღირსეულად დააფასებენ ამერიკაში ამგვარი ორგანიზაციის დაარსების მნიშვნელობას და გაგვინაწილებენ მრავალი წლების განმავლობაში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას.

აგრეთვე ვფიქრობთ, რომ ის ფაქტი რომ საქართველოს ყავს უცხოეთში იურიდიულათ ცნობილი წარმომადგენლობა, გაგვიადვილებს კავშირის დამყარებას ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებთან.

შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა გვაძლევს იმედს, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველთა პოლიტიკური ორგანიზაციები, მიუხედავად მათი პარტიული სხვადასხვაობისა, ერთსულოვნად და მეგობრულად შეაერთებენ თავიანთ ძალებს ყველასათვის უძვირფასესი მიზნის მისაღწევათ.

ქართველ-ამერიკელთა-ლიგის დავალებით:

თ. ბაგრატიონი, ლ. დუმბაძე,

პ. გვარამია, გ. კვინიტაძე,

ი. ღმრტიანი და დ. ჩხატარაიშვილი.

ბრძოლა კომუნისტებთან.

ამჟამათ 28 სახელმწიფოში კომუნისტებში გამოცხადებულია კანონს გარეშე. ამათ შორის 21 ამერიკის რესპუბლიკამ ერთ-ერთ დაადგინეს ამოავდონ კომუნისტებში თავისი სახლებიდან. ასეთივე დადგენილება მიიღო შვედმა აღმოსავლეთის ქვეყანაში, რომელიც შედიან არაბების ლიგაში. ავსტრალიაში პალატამ მიიღო კანონი, რომლის ძალით აკრძალულია კომუნისტური ორგანიზაციები. ევროპაში იღებენ ზომებს გააძევენ კომუნისტები მთავრობის დაწესებულებიდან. ბევრ ალბანას პოლიციას მიენდო დევნა კომუნისტების. აზიაში—ინდო-ჩინეთში, მალაიაში, სამხრეთ კორეაში კომუნისტებში გამოცხადებულია კანონს გარეშე. ერთისიტყვით, მთელ მსოფლიოში დაიწყო დევნა კომუნისტური დაჯგუფებების. განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკაშია მიღებული მკაცრი ზომები. იქ აკრძალულია ყოველგან კომუნისტური და მისი მსგავსი პარტიები.

ნოე ჟორდანიას 83 წ. დაბადების დღე.

ამა წლის 15 იანვარს ქართველი ერის ბელადს, ნაციონალურ მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას შეუსრულდა 83 წელი. ამ ისტორიულ დღის აღსანიშნავად თავი მოიყარეს მის ბინაზე პარტიში მყოფ მისმა მეგობრებმა და ქართული სუფრის გარშემო იდღესასწაულეს ძვირფასი მოხუცის დაბადების დღე. მისალოც სიტყვებში ყველამ უსურვა მას მხნეობა, ჯანმთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე სამშობლოს საკეთილდღეოდ. ნოე ჟორდანიამ ყველას მადლობა გადაუხადა, უსურვა მათ იმედიანი ცხოვრება და სხვათა შორის სთქვა: ... მე მოვხუცდი, ჩემ ხანგრძლივ პოლიტიკურ ხაზზე მრავალი გაჭირვება მინახავს, მრავალი წვალება გადამიტანია, მაგრამ მე ვემსახურებოდი ქართველ ერს, ვიბრძოდი მისი წარმატებისთვის, ვამაყობ რომ ვარ ქართველი, რადგან ერთდღეს მიერ ჩამოთვლილ 24 ერებში ქართველი ერიც არის, ყველანი დაიღუპენ გარდა ქართველი ერისა, მას აღმოაჩნდა ძველიდანვე განსაკუთრებული თვისებები გამძლეობის, გამჭირაზობის, და ეს მისი დადებითი თვისებები თავდებნი არიან მისი გამარჯვების ... და სხ. შ. აბაშიძის ხელმძღვანელობით მელიავას ვაჟებმა, ქართულ ქულაჯებში, შეასრულეს ქართული ცეკვები, რითაც ასიამოვნეს იუბილარი და დამსწრე სტუმრები.

ნ. რამიშვილის 20 წლის გახდაცვალების თავზე

სამოქალაქო პანაშვილი.

გასული წლის 17 დეკემბერს პარიზში, «მიუზე სოციალ»-ის დარბაზში, მოწყობილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ტრადიციულად დაღუპულ ჩვენი ხელმძღვანელის ნოე რამიშვილის 20 წლის აღსანიშნავად. კრებას თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე აშხ. ვ. ჩუბინიძე. კრების გახსნისათანავე თავმჯდომარის თხოვნით დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივისცა ნ. რამიშვილის ხსოვნას.

შემდეგ თავმჯდომარე იგონებს თავის წარსულიდან ნოე რამიშვილთან შეხვედრას: პირველად, როცა ჭიათურის მუშებმა განსაკუთრებული პატივი სცეს ჩვენ სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთელის ხსოვნას, შემდეგ ნოეს ინიციატივით გემი «კარლ-კარლი»-ს გაბოლშევიკებული მატროსების განიარაღებას და ბოლოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მის მოგზაურობის დროს. ის იმედს გამოსთქვამს, რომ დადგება დრო, როცა მის უბადლო სამსახურს შესაფერისად დააფასებენ ჩვენი ქვეყნის ისტორია.

ნ. ჟღერდანიას ხიტყვა. მე ნოე რამიშვილს ვიცნობდი 1905 წლიდან; ამ დროს უცხოეთში ვცხოვრობდი და მომიხდა არალეგალურად როსტოვში ჩასვლა, იქ დამხვდა ერთი ქართველი, რომელმაც შემატყობინა: ნოე რამიშვილი აქ არის. მშევხვდით ერთმანეთს. იმ დღის შემდეგ ჩვენ ვიყავით სამუდამოთ ჭირში და ლხინში ერთად. რუსთაველი ამბობს: «ხელმეორედ ვერავინ დაიბადება და რაც უნდა მოხდეს მოხდება». ამიტომ ნოე რამიშვილის შემცველი არავინ გვეყავს, მისგან დატოვებული ადგილი ცარიელია. იგი იყო მაგარი ნებისყოფის, დაუღალავი, ენერგიული, უმუშევრად მას ვერ გააჩერებდით. მანამ მიზანს ვერ მიაღწევდა ვერ მოისვენებდა. იგი იყო ყველასთან სწორი და პირდაპირი. მოწინააღმდეგეს ეპყრობოდა არა მტრულად, არამედ ცდილობდა მათ დაჯერებას, მიმხრობას, არასოდეს არ კისრულობდა ისეთ საქმეს, რაც მას არ შეეძლო. ევროპაშიც მას არ შეეძლო უსაქმოდ გაჩეოება, იგი არასოდეს არ ჩარეულა აქაურ შინაურ არეულობებში. მას გეზი ქონდა აღებულნი საქართველოს განთავისუფლების მუშაობისთვის და მხოლოდ საქართველოს ემსახურებოდა; ის იყო დიდი მუშაკი. მას მუდამ ცენტრში უნდებოდა მუშაობა. ნოე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე და ნოე ხომერიკი იყვენ სამეული, რომელნიც მუშათა ხელმძღვანელობას აწარმოებდენ და მათ მოძრაობას ორგანიზაციულად აწყობდენ. უცხოეთში მას ასპარეზი დაუვიწროვდა, სურდა არალეგალურად საქართველოში წასვლა და

იქ ბრძოლის გავრცელება; მომმართა კიდევ ამის შესახებ, მაგრამ მე არ შემეძლო ამის დასტური მიმეცა. აი ასეთი იშვიათი კაცი მოულოდნელად დაგვეკარგა და მისი შემცვლელი აღარ გვეყავს.

ამხ. კ. ვვარჯალაძე კრებას მოუთხრობს ნოე რამიშვილის პარტიულ მოღვაწეობას 1902 წლიდან მოყოლებული. აღნიშნავს მის როლს 1905 წლის რევოლუციისაში, შემდეგ რეაქციის დროს და 1917 წლის რევოლუციის ხანაში. მოიგონებს ნ. რამიშვილის მიერ მოწვეულ ერთ კერძო თათბირს (1916 წ.) რომელზედაც ის იცავდა მეფის რუსეთის დარღვევის აუცილებლობას და ამიერ-კავკასიის, ან თვით საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის შესაძლებლობას.

მოაგონებს აგრეთვე ყველას, რომ ნ. რამიშვილი იყო დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარე, განსაკუთრებული ყურადღებით იგონებს მის მრავალფეროვან სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას და მუშაობას, როგორც შინაგან საქმეთა, სამხედრო, თუ განათლების მინისტრისა. სახავს მას, როგორც მტკიცე, ძლიერ, მაგრამ მეტად მოქნილ სახელმწიფო მოღვაწეთ.

ამხ. გვარჯალაძის დახასიათებით ნ. რამიშვილი იყო განსაკუთრებული მაგარი ნებისყოფის და მორალური სისპეტაკის მქონე ადამიანი, პოლიტიკური მებრძოლი. პოლიტიკურ ბრძოლაში ხშირად მკაცრი და სასტიკი, მაგრამ ამავე დროს იშვიათი ნაწი მამა და ქმარი თავის ოჯახში. კარგი მეგობარი, კარგი ამხანაგი, კოლეგიაში მეტად დამომობი და კოლეგიალური, მდიდრად დაჯილდოებული კეთილშობილურ და ჰუმანიური გრძნობებით...

ამის შემდეგ ამხ. ლ. ფაღავა კითხულობს ამხანაგ სანდრო მენაღარიშვილის წერილს; ის იგონებს მრავალ ეპიზოდს განსვენებულთან ერთად მუშაობაში გატარებულს და თავისი მოხდენილი ენით ახასიათებს მის პიროვნებას, როგორც სახელმწიფო მოღვაწის და ხელმძღვანელის.

პოეტის გ. ქიტიანი კითხულობს ლექსს, ნოე რამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილს.

ამხ. მ. ანსენიძე იგონებს ნოე რამიშვილთან ერთად სასულიერო სემინარიაში გატარებულ ხანას. ახასიათებს მას, როგორც უდიდესი მორალით დაჯილდოებულ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც ქონდა უნარი დამომობის.

აკაკი ჩხენკელი იგონებს მას, როგორც საქართველოს მთავრობის პირველ თავმჯდომარეს და მებრძოლ გმირს...

ბ-ნი რ. გაბაშვილი ამბობს: მას არასოდეს პირადი უსიამოვნება არ ქონია განსვენებულთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მიმართულებას. მას ქონდა ყოველნაირი ღირსება, რაც უნდა ქონდეს სახელმწიფო კაცს— იყო შორსმჭვრეტელი, რეალისტი, ამიტომაც იგი ყოველ ძალას ანგარიშს უწყევდა.

ამხ. ტ. წულაძე კითხულობს მონაწერს წერილებს: პარიზის ქართველთა სათვისტომოს სახელით თავმჯდ. ბ-ნ ლ. ზურაბიშვილის; მიუნხენის ქართველთა საზოგადოების სახელით ამხ. ალ. კორძაიას; ირანის ქართველთა საზოგადოების; ავსტრიიდან—ამხ. ერეთეოზ რამიშვილის და ამხ. ნიკო იმნაიშვილის; სოჭოს სათვისტომოს სახელით—ამხ. ილ. სალუქვაძის; ინგლისიდან—ამხ. კოტე იმნაძის, რომელიც თავის მოგონებაში აღწერს იმ მძიმე წუთებს, რაც გამოიწვია ნოეს დალუპვამ პოლონეთის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებში და მეგობარ პოლონელთა შორის.

იღესმე გლბენია ახასიათებს ნოე რამიშვილს როგორც დიდ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, სამშობლოს ერთგულ შვილს, უმწიკვლო ეროვნულ მებრძოლს...

შემდეგ კრების თავმჯდომარე დიდ მადლობას უხდის დამსწრე საზოგადოებას.

ბოლოს ნოე ქორდანიას მოუწოდებს ქართველობას ასეთ მთლიან, ერთსულოვან გამოსვლას ქართულ საქმეში განურჩევლად მიმართულებიან.

XXX.

ახალი წელი!

კიდევ ერთი წელი წვალეების, ტანჯვის, ტყვეობაში ყოფნის მიემატა ჩვენი ქვეყნის მატრიანეს, რომელიც გამძაფრებული ყურადღებით შესცქერის მსოფლიოში გაბატონებულ ძალთა დაპირისპირებას, რომელთა დამოკიდებულებამ მიიღო გარკვეული სახე; ორ ბანაკთა თანაცხოვრების და შეთვისების ხასიათი მწვავე ურთი-ერთობის ფარგლებში მოემწყვდა. მთელი კაცობრიობა თითქოს მოძრავ ვულკანზე ცხოვრობს, შიშითა და შფოთვით შეპყრობილი იგი შეპყურებს მომავალს, თუ როდის აღმოხვტეს ქარიშხალი და წალექავს რაც ადამიანის გონებას შეუქმნია, რაც შეადგენს განათლებულ საზოგადოების წმინდათა-წმინდას, კულტურულ მიღწევებს, სულიერ საუნჯეს და მას ჩააყენებს პირუტყვულ ცხოვრების პირობებში.

გასული წლის მანძილზე მოსკოვის ზრახვებმა თავის ბატონობის სხვა ერებზე გასავრცელებლათ—მიიღო რეალური გამოხატულება, მოხდა მის გეგმათა კვანძის გახსნა, სააშკარაოზე გამოტანა. მისი აგრესიული პოლიტიკის სიმახვილე აზრიის ქვეყნებისკენ მიემართა და იქ გაბატონების შემდეგ გაძლიერებული ალბათ იგი დასავლეთისკენ შემობრუნებას შეეცდება, რომ ომისგან ეკონომიურად მოქანცულს სულის მოთქმა არ აცალოს, თავის ბარბაროსული მართველობის სისტემა თავზე მოახვიოს. ამის შემდეგ გასაგებია ამერიკა-ევროპისგან თავის დასაცავათ მზადება, დემოკრატიულ ქვეყნების ფეხზე დადგომა.

დღის წესრიგში სდგას არა ის, თუ ვინ დარჩება ბატონ-პატრონი შორეულ ქვეყნის რომელიმე კუთხეში, არამედ ვინ დაეპატრონება მთელ ქვეყნიერებას, შესძლებენ თუ არა თავისუფალი ქვეყნები თავიანთ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას თუ იქ გამეფდება უცხო ძალა, მისი ტერორი, დიქტატურის სულშემხუთავი, პოლიციური მართველობა თუ თავისუფალ მოქალაქეთა და ერთა კავშირი შესძლებს ადამიანურ უფლებათა დაცვას, ძალა თუ სამართალი წარმართავს საზოგადოებრივ ცხოვრებას. აი სატიკვარი რომელიც აწუხებს განათლებულ კაცობრიობის სინდისს და იგი დღეს აღელვებული ეძებს მშვიდობიან გამოსავალს. მაგრამ გაცემულ სიტყვას ფასი ეკარგება, ხელშეკრულება ფარატინა ქალაქდათ ხდება და გამოსავალიც თითქოს გაკჭრა, ომის სუნი დასტრიალებს კაცობრიობას, უძლიერესი ლამობს გაბატონებას, იარაღი ითხოვს საპატიო ადგილს და ცდილობს კითხვის გადაჭრას. დღეს პატარა ერის მიწა-წყალზე გიგანტთა სამხედრო გათამაშება უდიდეს გაკვეთილს აძლევს დაპყრობილ ერებს, მოითხოვს მისგან უაღრეს სიფრთხილეს, წინდახედულებას, შორს მჭვრეტელობას; რადგან ერთა განთავისუფლება დღეს დამოკიდებულია არა მარტო მის შინაურ ძალთა მოძრაობაზე, არამედ მოსალოდნელ დატაკების პოლიტიკურ შედეგებზე, მათ მსვლელობაზე, ახალ გადაჯგუფების ურთი-ერთ დამოკიდებულებაზე.

აი ასეთი მძიმე პოლიტიკური პერსპექტივებით გადავივარათ ახალ წელში.

ჩვენი ერის, მის ერთგულ შვილთა მთლიანი მოქმედება შეძლებს მომზადებული შეხვდეს ყოველგვარ მოსალოდნელ რთულ მოვლენებს და თავისი ფრთხილი, ბრძნული პოლიტიკის წარმოებით სამშვიდობოზე გაიყვანოს სამშობლოს ნავი...

ბ. ს.

კ. მანერჰაიმი.

28 იანვარს ლოზანის (შვეიცარია) კლინიკაში მძიმე ოპერაციას გადაყვა ფინლიანდიის ყოფილი პრეზიდენტი მარშალი კ. მანერჰაიმი.

განსვენებულის პიროვნება იმდენათ არაჩვეულებრივია თანამედროვე ეპოქისათვის და მისი ცხოვრება იმდენათ ეპიკური, რომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მოკლეთ მაინც შევაჩეროთ ამაზე მკითხველის ყურადღება.

ცარიზმის კალთაში აღზრდილი და მეფის სასახლის მიერ განსაკუთრებულ პატივით და ყურადღებით დატვირთული მანერჰაიმი მყისვე, როცა მისი ქვეყნის ინტერესმა მოითხოვა, ჩაუდგა სათავეში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და გახდა ერის თავისუფლების შეუდრეკელი დარაჯი.

ყოველ გასაჭირის დროს უკვე მოხუცებული გმირი თავის პოსტზეა, მთელი ერის განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვილი.

უკანასკნელ ომის დროსაც 73 წლის მანერპაიმი უძღვის ფინლიანდიის ჯარებს რუსეთთან ომში.

ვის არ ახსოვს ამ უთანასწორო ბრძოლის განსაცვიფრებელი მომენტები?

ვის არ აუთგვრა გული ფინლიანდიის ხალხის ასეთმა თავგანწირულმა გმირობამ?..

ბოლოს, როგორც ვიცი, ტლანქმა ძალამ თავისი გაიტანა; გოლიათმა სძლია დავითს; ფინლიანდია დაიმორჩილეს; მას გაუნახვერეს ტერიტორია, დაადგეს აუტანელი კონტრიბუცია. მან ყოველისფერი დათმო, მაგრამ, როცა მას მოსთხოვეს ღირსების დათმობა, მისი საყვარელი შვილის, ეროვნული გმირის მანერპაიმის ომიანობის ბოროტმომქმედათ გამოცხადება და დასჯა, აქ კი, ფიზიკურათ განადგურებული, მაგრამ სულიერად მტკიცე, ფინლიანდია შეურიგებელი აღმოჩნდა. მოხდა მანერპაიმის სასწაული: მოსკოვი პატარა ფინლიანდიის განაჩენს დაემორჩილა.

განა ეს არ არის მომხიბლავი მაგალითი პატარა ერის სულიერი სიდიადისა? მართლაც, რომ უკვდავია ასეთი ერი; ისე, როგორც უკვდავია ის შვილიც, რომელმაც თავის ერში მსგავსი სიყვარული დაიმსახურა.

ჩვენთვის, ქართველთათვის, საამაყოა, რომ განსვენებული ქართველი ერის ერთგულ მეგობრათ თვლიდა თავის თავს და ერთ თავის წერილში მას ნათლავს «გმირულ და რაინდულ ვრათ».

დღეს მთელი ფინლიანდია იგლოვს თავის საყვარელ გმირს და ჩვენც ვიზიარებთ მის დიდ მწუხარებას.

მ. შ.

ი უ რ ი შ ა ლ ბ ა

მოდის ემიგრაციის ძველი თაობა. ბევრი მოხუცდა, დასუსტდა ფიზიკურათ და ვეღარ უძლებს ნივთიერ გასაჭირს და სულიერ განცდებს, როგორც ამას უძლებდენ წინად, ემიგრაციის დასაწყისში. ეს საზოგადო და ბუნებრივი მოვლენა არის.

და მაინც, იური ფაღავას დაკარგვამ თავხარი დასცა მის მეგობრებს პარიზში და გულს ატკენს ყოველგან მის ნაცნობთ და მეგობართ, როცა ამას ისინი გაიგებენ. ისე მოულოდნელი, ისე ტრაგიკული იყო ეს ამბავი: მან სიცოცხლეზე თავის ნებით ხელი აიღო, 19 სექტემბერს მდინარე სენაში გადავარდა, პარიზში...

ჩვენში იური ცნობილი პიროვნება იყო. ძნელია მისი დახსიათება ისე, რომ მისი ღირსებებიც ცხადყო და იმავ

დროს მისს მორცხვ, თავმდაბალ, მორიდებულ კაცის ბუნებას არ უღალატო.

განსვენებული «საზოგადო მოღვაწე» არ ყოფილა, საჯაროთ გამომსვლელი—მოლაპარაკე, თავის გამომჩენი; მაგრამ ყველა ქართველი საზოგადო მოღვაწე იცნობდა იმას და აფასებდა. უპირველეს ყოვლისა, იგი მწიგნობარი იყო, განათლებული კაცი. ვაჟი დასავლეთ-საქართველოში კარგად ცნობილ ვეჭილის, მეჭი ფალავასი, იური კარგ კულტურულ პირობებში აღიზარდა; საუნივერსიტეტო (იურიდიულ) განათლებასთან ერთად მან ფართო თვითგანვითარება მიიღო. იგი მუდამ ჩაფლული იყო წიგნებში და ცოდნის ყოველ დარგში ახალ მიმდინარეობათა კურსში იმყოფებოდა. მასთან საუბარი ბევრ სპეციალურ თუ საერთო ლიტერატურის საკითხებზე მუდამ სასიამოვნო და სასარგებლო იყო. ჩვენებურ პირობებში მას საუკეთესო წიგნთსაცავიც ქონდა ჩვენში და ახალ გამოცემულ წიგნს უპირველესად ყოვლისა იურის წიგნთსაცავში იპოვით.

ამავე დროს, იური გაუგონარათ თავდაბალი, მორცხვი კაცი იყო. «იური ფალავა მაშინ წავე გამოცდაზე, თუ დარწმუნებულია, რომ საგანი თავის პროფესორზე უკეთესად იცის» — ხუმრობდენ ხოლმე მისი ამხანაგი-სტუდენტები. მართლაც, ეს მორცხვობა, ეს «გაუბედაობა» იყო მისი დამახასიათებელი თვისება და ამავე დროს მისი ღირსებაც, რადგან აქედან გამომდინარეობდა მასში სიყრმიდანვე ზედმიწევნით განვითარებული გრძობა პასუხისმგებლობის. რა თანამდებობაზეც უნდა შეედიოთ იურისთვის საზოგადო ასპარეზზე — და ამის შემთხვევა ბევრი იყო — იგი უკან იხევდა, მაზღე უკეთესად სხვა მიაჩნდა მომზადებულათ. ეს მისი ხასიათი განსაკუთრებით აღსანიშნავია, როცა უცოდინართა გამბედაობა ხშირად თავხედობაში გადადის და რამდენ ვიგინდარას წინ გაუსწრია იურისთვის საზოგადო საქმის ისეთ დარგში, სადაც განსვენებულის ცოდნა და მუყაითობა საქმისთვის დაუფასებელი იქნებოდა და თანამდებობისთვის დამამშვენებელი. ყოველგან, სადაც იმას უმუშავნია, მის ცოდნას და მუშაობის უნარს პატივს სცემდენ. კერძო საქმეში მუშაობამ მას შემთხვევა მისცა, სხვათა შორის, კარგად შეესწავლა ჩვენი მეზობელ სპარსეთის ყოფა-ცხოვრება და ეკონომიური ვითარება.

იური ფალავა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა, თუმცა პოლიტიკურ საკითხებში კარგად ჩახედული იყო და პოლიტიკით მუდამ დაინტერესებული.

იგი არც უცხოეთში წამოსულა, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი, არამედ მძიმე ავითმყოფობის გამო მას საექიმოთ წამოსვლის ნება დართეს; ხოლო შემდეგ იგი დარჩა ემიგრანტათ და, თუმცა უდიდესი სურვილი ქონდა სამშობლოში დაბრუნების, მაგრამ ვეღარ ხედავდა ისეთ პირობებს, რომ

იგი, იქედან ერთხელ წამოსული, შესძლებდა პატიოსნათ უკან დაბრუნებას და იქ, თუნდაც სრულს მივიწყებაში, მშვიდად ცხოვრებას.

მოხუცებაში შესული, იური უკანასკნელ დროს ხშირად ავთიმყოფობდა; საყვარელ მეუღლის გარდაცვალებამ, ამ რამდენიმე წლის წინად, დიდად დაამწუხრა იგი; ემიგრანტულ ცხოვრების გასაქირმა იგიც მოსტეხა ფიზიკურად და დაღალა ნერვიულად. ყველაფერმა ამან ერთად გამოიწვია მასში ალბათ ის ტრადიკული განცდები, ყველასთვის შეუმჩნევლად გულში რომ ატარებდა თურმე, და საშინელ დასკვნამდის რომ მიიყვანა იგი.

გასული წლის 24 სექტემბერს, პარიზის ქართველ საზოგადოებამ საფრანგეთის მიწას მიაბარა იური ფაღავა და გულში შეინახა სამუდამო ხსოვნა და სიყვარული ამ ჩუმ, მაღალ ზნეობის, მორიდებულ და ყველა წრეში პატივცემულ ადამიანს.

ბ. ბ.

ჯემალ ალ ბოგაჩი.

გასული წლის პირველ სექტემბერს ერთი წელიწადი შესრულდა, რაც პარიზის ქართველთა სათვისტომომ დაკარგა დაუეიწყარი მეზობელი და ყველასათვის საყვარელი მთიელთა სათვისტომოს წევრი ჯემალ ალ ბოგაჩი.

ჩვენი საზოგადოება მას იცნობდა, როგორც პას ბულატი. მისი სწორი სახელი და გვარი იყო ჯემალ ალ ბოგაჩი-იყო ეროვნებით ჩეჩენი, ტომით ლალ ლოი (ინგუში), დაიბადა 1892 წ. და გაიზარდა კავკავში (სოფ. კაქოვა). იგი იყო მთიულეთში კარგად ცნობილი ოჯახის შვილი. განათლება მან მიიღო პირველდაწყებითი და საშვალო კავკავში, უმაღლესი კი გერმანიაში.

მისი მოღვაწეობა დაიწყო სამშობლოში. მონაწილე იყო მთიელთა ხალხური მოძრაობის. იგი, საიმედო ახალგაზდა, მთიელთა წარმომადგენლობას, ჩერმოვეის მეთაურობით, ახლდა ვერსალის კონფერენციაზე, როგორც თარჯიმანი და მდივანი.

1918 წელს გადმოვიდა თბილისში. 1919 წელს მოიწვია მთიელთა წარმომადგენლობა და ჩამოაყალიბა მეჯლისი, რომელიც ცოტა გვიან გადავიდა კავკავში.

1920 წელს დაარსა თბილისში გაზეთი: «ვოლნი გორეც».

საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1921 წელს გადაიხვეწა გერმანიაში. ხოლო 1923 წ. გადმოვიდა საცხოვრებლად საფრანგეთში. 1949 წლის 1 სექტემბერს გარდაიცვალა ქალაქაზბილანკაში (აფრიკაში).

ის ვერ გამოცვალა ვერც ვეროპამ, ვერც გადმოხვეწილის უბედობამ. სიკვდილამდე შეინახა მთიელის თვისებები: მოძრავი სულის პატრონი, მუდამ მოუსვენარი, დარდიმანდი, უსაზღვრო მოტრფიალე თავისი ქვეყნისა და ხალხის თავისუფლების.

ხშირათ მაგონდება მასთან საუბარი, ბავშური სიცილეჭე, ახალგაზრდული გატაცება. უკანასკნელ დროს უიმედობა შემოეპარა და დასევდიანდა. თუმცა თვითონ არას ამბობდა, მაღავდა.

იგი იყო ჩვენი საზოგადოების ხშირი სტუმარი, ერთგული მოყვარული საქართველოს და კავკასიის გაერთიანების მოტრფიალე; ხშირად მეტყვოდა: «როცა თქვენმა სათვისტომომ თავი მოიყაროს, შემატყობინე, მოვალ ქართულ ენას მოვისმენ და დავმშვიდდებო».

იგი იყო ხელოვნების თაყვანისმცემელი, თვითონაც ეროვნული ტანსაცმელისა და ცეკვების ოსტატი და ქართულ საცეკვაო საღამოს არასოდეს დააკლდებოდა.

როცა აფრიკაში გამეზავრა, შეგვპირდა მალე განახეთ, ერთი წლით მივდივარო. იქიდან აღარ დაბრუნებულა. და ჩვენც მისი მომგონე მეგობრები და ნათესავეები თვალცრემლიანი ვიგონებთ მის ნატვრას: «მინდა ჩემს ქვეყანაში, მამა-პაპათა საფლავებს შორის მოისვენოს ჩემმა ძელებმა»-ო.

განსვენებული მუდამ იყო იმის ნატვრაში, რომ ერთხელ მაინც შეეხედა მშობლიური მთებისთვის და ხშირად გვეტყვოდა: «თქვენ არ იცით რა სანახავია ჯეირანის ხეობა, რა სილამაზე აქვსო!»

მისი ოცნება და იმედი იყო, ერთად ერთი ძმა ჯებრაილი. ამბობდა: როცა სამშობლოში დავბრუნდები თბილისში უნდა გავატარო დანარჩენი ჩემი სიცოცხლე; იქ ცხოვრობს ჩემი ძმა ჯებრაილი, მისი ცოლი ქართველი ქალია; ჩვენ ბევრი და-ძმანი ვიყავით, მხოლოდ ერთი ძმა და ერთი და დამარჩა. არ იცოდა განსვენებულმა, რომ ის ერთიც, რომელიც მას ცოცხალი ეგონა, მტერმა შეიწირა. ჩვენ ვიცოდით. ვუმალავდით.

აღარ ეღირსა განსვენებულს ენახა მშობლიური მთები ასულიყო მწვერვალებზე და საყვარელი ქვეყნისათვის თავისუფლება მიელოცა.

გვახსენდება უკვდავი რუსთაველის სამართლიანი გოდება:

«ვა, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჳირსა»? «სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა».

ნიკო ყურულაშვილი.

კოწიპ მგელაძე

და

პოლიკარპე რუსაძე.

ამ ერთი წლის წინ ამ ორმა პიროვნებამ გადაწყვიტეს დაეტოვებინათ ემიგრაცია და არალეგალურათ დაბრუნებულნიყვენ საქართველოში იქაური მდგომარეობის გასაცნობათ და დაბრუნებულნიყვენ უცხოეთში. გავიგეთ თავის დროზე, რომ ისინი გადავიდნენ საზღვარს, ხოლო შემდეგ მათი კვალი დაიკარგა. მხოლოდ ახლა გამოიჩვენა მათი ბედი. საქართველოს გზაზე მათ შეხვედრიათ ყარაულები და ორივე იქავე მოუკლავთ თოფით. ასე გმირულათ შესწირეს თავი სამშობლოს საქმეს.

აი მათი ბიოგრაფიული ცნობები:

კოწიპა მგელაძე იყო ღარიბი ოჯახის შვილი. მის დედამამას ყოლია თერთმეტი ვაჟი. კოწიპა თავიდანვე იღებდა მონაწილეობას განმათავისუფლებელ მოძრაობაში; როცა დაუწყეს დევნა გადასწყვიტა თავი შეეფარებია ემიგრაციაში; გამოიქცა აქეთ და დაბინავდა პარიზში. ის აქაც აგრძელებდა ბოლშევიზმთან ბრძოლას, მხარს უჭერდა ანტიბოლშევიკურ დაჯგუფებას და დარჩა ბოლომდე ნაციონალური მთავრობის ერთგული. ამასთანავე ის მუშაობდა თვითგანვითარებისათვის. დაეწაფა განსაკუთრებით ფილოსოფიას, გატაცებით კითხულობდა ძველი ელინელთა ფილოსოფოსების ნაწერებს: პლატონის, არისტოტელის, სოკრატის და სხ. ბოლოს მოსწყინდა უცხო მიწა-წყალზე ცხოვრება და მუშაობა, გადასწყვიტა სამშობლო ენახა და გახდა მტრის მსხვერპლი.

პოლიკარპე რუსაძე ითვლებოდა საქართველოში საუკეთესო სამხედრო პირათ. ჯერ იყო რუსის ჯარში ასეულის მეთაურათ, შემდეგ, როცა ქართული ჯარი შედგა დაინიშნა პოლკის უფროსათ. სახალხო გვარდიის დაარსებიდან იგი ითვლებოდა გვარდიელთა ასეულის წინამძღოლათ.

1924 წლის აჯანყებაში ის იყო ხონის რაიონის აჯანყების მეთაური. შემდეგ ის იძულებული გახდა ჩაბმულიყო არალეგალურ მუშაობაში და გადამალულიყო. ბოლოს ის იძულებული შეიქმნა თავი გადაერჩინა დატყვევებას და გამოვიდა საზღვარ-გარეთ. პოლიკარპე იყო გულადი, პირდაპირი, გულწრფელი. აქ ის გვერდში ედგა საქართველოს განთავისუფლებისათვის მომუშავეთ.

ორივენი, კოწიპა და პოლიკარპე იყვენ სამშობლოში და უცხოეთში სოც.-დემ. პარტიის წევრები.

ბ ე ს ა რ ი ო ნ უ ლ ე ნ ტ ი.

(სიმონ გოგიტაური)

გასული წლის 21 ივლისს ბერძენ კათოლიკების სასაფლაოზე მიწას მივაბარეთ საუკეთესო მებრძოლი და თავდადებული მუშაკი ბესარიონ ულენტი.

ბესარიონი დაიბადა გურიის სოფ. ბასილეთში 1872 წელს. პირველდაწყებითი სწავლის მიღების შემდეგ იგი იძულებული ხდება უსახსრობის გამო ჯერ ფოთში, შემდეგ ბათუმში წავიდეს სამუშაოს საძებნათ. 1896 წელს იგი ეცნობა მესამე დასელების მოღვაწეობას და იწყებს მათ წრეში მუშაობას. ღებულობს აქტიურ მონაწილეობას 1905 წლის რევოლუციისთვის. რეაქციის გამარჯვების შემდეგ იგი განაგრძობს არალეგალურ მუშაობას, 1914 წელს მას იჭერენ და ასახლებენ ასტრახანში. ბრუნდება იქიდან და განაგრძობს მუშაობას ბათუმში; ინგლისელების დროს ბათუმში აქტიურ მუშაობას ეწევა არალეგალურ სახალხო გვარდიის შესადგენათ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ბესარიონს ევალება საიდუმლო საქმეები, რასაც იგი მოხერხებით ასრულებს, იღებს მოწმობას სიმონ გოგიტაურის სახელზე, მიდის აჭარაში და იქიდან გადმოდის ოსმალეთში. ამის შემდეგ ამ სახელით და გვარით ასრულებს დიდ საპასუხისმგებლო დავალებებს.

სიმონს ახასიათებდა სიმტკიცე და უდიდესი პატიოსნება, ქართული საქმისადმი უანგარო თავდადება, იყო დაუღალავი საზოგადო საქმისთვის. დავკარგეთ სპეტაკი ადამიანი, პიროვნება იშვიათი თავდადების, პირადათ მე სულიერი მეგობარი.

მშვიდობით ძვირფასო სიმონ, შენი ხსოვნა მუდმივად დარჩება ჩვენს გულში. შენი თავდადება ქართული საქმისთვის მაგალითი იქნება დარჩენილთათვის.

ავთანდილ ურუშაძე.

ლ ა დ ო ზ უ რ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი.

ლადო დაიბადა 1902 წელს ქ. თელავში. იმ დროს მამა მისი ალექსი მუშაობდა წინანდლის საუფლისწულო მამულში. იგი ეკუთვნოდა ძველი თაობის მოწინავე მუშათა წრეს. კანტონში პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაარსდა ალექსის მხურვალე მონაწილეობით. გიორგი ხირსელთან ერთად იყო აქტიური წევრი თელავის პირველი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის. როდესაც მთელი ოჯახით თბილისში გადასახლდა, რეაქციის დროს მისი სახელოსნო იყო ბუდე რევოლუციონერების და განმანაწილებელი პუნქტი არალეგალურ ლიტერატურის. რწმენაში ურყევს, მოქმედებაში უშიშარს, ხალხის უფლებებისათვის თავდადებულს გვერდში ედგა მას მისი მეუღლე მარო, რომელიც ეხმარებოდა ქმარს ყოველგვარ სახიფათო პოლიტიკურ საიდუმლო საქმეებში.

მეფის მთავრობამ რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის ალექსი გადაასახლა რუსეთში. ცოლით და პატარა ლადოთი გადასახლების ვადის გათავებამდის ცხოვრობდა როსტოვში. ლადო იზრდებოდა და ვითარდებოდა რევოლიუციონურ დედ-მამის ოჯახში და მათი ამხანაგების ხელში. პატარაობიდანვე იგი ითვისებს რწმენას და მისწრაფებას მშრომელი ხალხისას: თავისუფლების სიყვარულს და ჩაგრულთა და დამონებულთა ქომაგობას. როცა დაჭაბუკდა მამის პოლიტიკური დროშა გაიხადა თავის დროშათ, მის კვალს გაყვა და სახალხო მოძრაობაში გატაცებით ჩაება.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლადო უნივერსიტეტის მოწაფე ქართველ მოსწავლე ახალგაზდობასთან ერთად იღებს მონაწილეობას ყოველგვარ გამოსვლებში საქართველოს დამპყრობელთა წინააღმდეგ. მას, როგორც მრავალ სხვებს, ჩეკისტები არაერთხელ ატუსაღებენ და აწამებენ... ფიქრობს ევროპაში წამოსვლას და აქ სწავლის გაგრძელებას. ორ თანატოლ თანამგზავრ ახალგაზდებთან ერთად ახერხებს სახლვარ-გარეთ გამოპარვას. ცხოვრობს პარიზში. შემდეგ მიდის ოდენკურში და იქ კარგა ხანს მუშაობს პეეოს ქარხანაში. იქიდან გადადის ქ. ბელაკში. ომის გათავების შემდეგ ბრუნდება პარიზში. აქ ავად ხდება: ფილტვში აღმოაჩნდა კიბო, რამაც იგი იმსხვერპლა. გარდაიცვალა პარიზის საავადმყოფოში 30 ივნისს 1950 წელს.

სამშობლოს დამორბეამ, ემიგრაციაში ხანგრძლივმა ყოფნამ და ევროპაში მომხდარმა დიდმა პოლიტიკურმა ამბებმა ლადოზე ვერ მოახდინეს გავლენა, რომ მას თავის რწმენისათვის ელაღატნოს, თავის ქვეყანა დაეიწყებოდეს და მართო თავის საკუთარ ცხოვრების მოწყობაზე ეფიქროს. საქართველოს დამოუკიდებლობა, ხალხის უფლების აღდგენა, სოციალური თანასწორობა მუდმივით იყო მისი ფიქრის და ლტოლვის საგანი, რაც საფლავში თან წაიღო.

სოფელ ლოვილის სასაფლაოზე დამარხულ ქართველ ემიგრანტებს ისიც მიემატა.

გაბო ბერბეაშვილი.

გაბო დაიბადა 1883 წელს სოფელ წინარეხში, გორის მაზრა. 1905 წელში ხდება სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან შედის სახალხო გვარდიაში. 24 წლის აჯანყებაში იღებს მონაწილეობას. აჯანყების დამარცხების შემდეგ სხვებთან ერთად თავს აღწევს ბოლშევიკებს და გადმოდის საზღვარ-გარეთ. ცხოვრობს პარიზში, შემდეგ სოფოში, სადაც უკანასკნელ დროს შეიქნა მძიმე ავადმყოფი. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 1950 წელს 30 ივნისს გარდაიცვალა პარიზის ახლოს საავადმყოფოში. მისმა მეგობრებმა დაასაფლავეს სოფელ ლოვილის სასაფლაოზე.

წერილი რედაქციის მიმართ.

«ჩვენი დროშა»-ს მე-6 ნომერში მოთავსებულია ავთანდილის ხელის მოწერით მოგონებანი «ახლო წარსულიდან». ამის შესახებ, ვთხოვთ მოათავსოთ «ჩვენი დროშა»-ს უახლოეს ნომერში ჩემი შემდეგი განმარტება:

1. არასოდეს გურიის სოც.-დემ. ორგანიზაციებს და მის სამაზრო კომიტეტს არ მიუღიათ დადგენილება რუსული ექსპედიციის უფროსის ობოლაძის მოკვლის შესახებ და არც არაეისტვის საამისო «ნება მიუციათ»;

2. რომ გურიის კომიტეტს ასეთი დადგენილება მიეღო, ავთანდილმა კარგათ იცის, მას ამის შესრულების სხვა საშვალეები ქონდა და არ მიმართავდამანწყავა-ლლონტის ჯგუფს;

3. ავთანდილის ცნობით: გურიის კომიტეტი და პირადათ მისი თავმჯდომარე გ. გოგუაძე იცავდა ობოლაძის მოკვლას და პროპაგანდას აწარმოებდა ამ მხრივ მთელს გურიაში. ვაცხადებ კატეგორიულათ, რომ გურიის კომიტეტი, და პირადათ გ. გოგუაძე განსაკუთრებით, წინააღმდეგი იყო ამისი, რომ გ. გოგუაძე, ხშირათ ხმარობდა თავის სიტყვაში «საქართველოში ქართველები, ან საქართველო უქართველოთ», მაგრამ ეს სრულიად არ ეხებოდა ობოლაძის მკვლელობას და, პირიქით, თუ გოგუაძემ შერიგება გადაწყვიტა კომუნისტურ ხელისუფლებასთან, ამის ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ გურიის კომიტეტმა ვერ შესძლო თავიდან აეცდინა ეს მკვლელობა, რომელიც გამოწვეული იყო თვით საბჭოთა ხელისუფლების და მისი საქსპედიციო რაზმის უფროსის ობოლაძის მხეცური მოქმედებით;

4. გურიის კომიტეტმა მაშინვე გამოუშვა არალეგალური ფურცელი, რაშიაც აწერილი იყო ობოლაძის მოქმედება, მისი ყოვლად დაუშვებელი საქციელი გურიაში, მაგრამ კატეგორიულათ უარყობდა მის მკვლელობაში რაიმე მონაწილეობის მიღებას და მთელს პასუხისმგებლობას აკისრებდა საბჭოთა ხელისუფლებას. ეს ფურცელი გავრცელებულ იქნა მთელს გურიაში და კერძოდ ოზურგეთში, საშინელ პირობებში, როდესაც სამხედრო წესები იყო გამოცხადებული, შეღამების შემდეგ, ქუჩაში გამოსვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ საგანგებოთ ამისათვის დახელოვნებულმა ჯგუფმა მოწადეებისა შესძლო მთელი ოზურგეთი ამით მოეფინათ და აღმასკომის და ჩეკის კედლებზეც გაეკრათ;

5. ცნობილია, რომ გურიის კომუნისტების ერთმა ჯგუფმა მიმართა ობოლაძის შემცვლელს, დამსჯელი ექსპედიციის უფროსს, ი. ტალახაძეს წერილობით, რომელშიდაც ისინი აღშფოთებას გამოთქვამდენ ობოლაძის მოქმედებით გურიაში და ურჩევდენ მას სხვა პოლიტიკა აეღო.

ყოფილი ს. ს. დ. მ. პარ. გურიის კომიტ. წევრი
და ოზურ. სარაიონო კოლეგიის თავმჯდომარე

ა. ვადაჭვლიძე.

დახმარება «ჩვენი დროში»-ს.

გასული წლის (1950) განმავლობაში სხვადასხვა დროს რედაქციამ მიიღო ჟურნალის საგამომცემლო ფონდისთვის: ავსტრიიდან ამხ. ერ. რამიშვილისაგან 2.000 ფრ.

სომოვდან ამხ. ილ. სალუქვეძისაგან 1.500 ფრ.

ლიონიდან ამხ. კ. გუნისაგან 2.700 ფრ.

ვ. ჩუბინიძეს მიერ შეგროვილი 26 მაისს 2.200 ფრ.

გრ. უჩაძესაგან, ალ. მეტურიშვილისაგან, და გრ. მოდებაძესაგან თითოეულთაგან ათას-ათასი ფრ.

ერ. მაჭავარიანისაგან შეგროვილი პირველათ 600 ფრ. და მეორეთ—700 ფრ.

ალ. ბერაძესაგან 500 ფრ.

გერ. სურგულაძესაგან 400 ფრ., ლონდონიდან 400 ფრ.

წ. მ—საგან, ვ. ტულუშისაგან, გაჩეჩილაძესაგან, გრ. წერეთლისაგან, ე. ცაგარელისაგან, გ. ქლენცისაგან, ვ. ჩუბინიძესაგან, მ. ჩუბინიძესაგან, გრიგოლაშვილისაგან, ვ. ქელიძესაგან და გ. ერაძესაგან თითოეულთაგან სამას სამასი ფრ.

ს. ჩიკვილაძესაგან, ტოლონიძესაგან, ს. ლიაძესაგან, ლ. ფალავასაგან, დ. ხელაძესაგან, კ. ჩხაიძესაგან, დ. ასათიანისაგან, ვ. ინწკირველისაგან, თ. მუხაშარიასაგან, არ. მუქელიშვილისაგან, და ი. ს—აგან ორას-ორასი ფრ.

მაჭავარიანისაგან 150 ფრ.

მელქაძესაგან, ვ. ლლონიძესაგან, ტ. წულაძესაგან, გრ. მოდებაძესაგან, ს. კეკელიძესაგან, სიმონისაგან, ყიფიანისაგან, გ. ნოზაძისაგან, კვანჭაძესაგან, ს. სებისკვერაძესაგან, ვ. გოგუაძესაგან, ვახტანგისაგან, ქ. იმნაიშვილისაგან და კირატავასაგან თითოეულთაგან ას-ასი ფრანკი.

ამ სიას ემატება მიმდინარე წლის შემოწირულებანი:

ამხ. იოსებ ელიგულაშვილისაგან 5.000 ფრ.

ამხ. გერ. სურგულაძესაგან 2.000 ფრ.

ანსანისაგან, დ. ხელაძესაგან, ვ. ლლონიძესაგან, გრ. ბარამიძესაგან და ვ. ინწკირველისაგან თითოეულთაგან ხუთას-ხუთასი ფრ.

ვ. ჩუბინიძესაგან 300 ფრ.

ვ. ლაბაძესაგან, პ. ინწკირველისაგან, ი. ს—აგან, ერ. მაჭავარიანისაგან და პ. სარჯველაძესაგან თითოეულთაგან ორას-ორასი ფრ.

ტ. წულაძესაგან, დ. რევანაშვილისაგან, აკ. კვიციანიშვილისაგან, გრ. წერეთელისაგან, აკ. ვადაჭკორიასაგან და გ. ე—საგან თითოეულთაგან ას-ასი ფრანკი.

ამერიკიდან პ. კვარაცხელიასაგან ორი დოლარი.

სპარსეთიდან სამი გირვანქა სტერლინგი და 2 დოლარი.

სულ 29. 450 ფრ. ოთხი დოლარი და 3 გირ. სტერლინგი.

„ჩვენი დროშა“-ს სარჩივი.

№ 1. თებერვალი 1949 წ.

«ჩვენი დროშა».

ნ. უ.—მიმდინარე საკითხები: 1. საბჭოთა საშინაო პოლიტიკა. 2. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა. 3. ჩვენი ადგილი.

მკ. გეგეჭკორი—დღევანდელი საერთაშორისო ვითარება და მისი გამომწვევი მიზეზები.

პ. ხარჯველაძე—მიზანი და საშვალეობა!

ნ. ჟორდანიას—«კომუნისტ. მანიფესტი» და სოციალიზმი.

ს. წერილი საქართველოდან.

ჩვენი პოზიცია ომის დროს 1941 წ.

ნაციონალური საკითხი.

რეზოლიუცია პარიზის ქარ. ს.-დემ. ორგანიზაციის, მიღებული 7 აპრილს 1946 წ. მიმდინარე საკითხზე.

ტ. წ.—ნოე ჟორდანიას 80 წლის იუბილე.

ბ. ბ.—ივანე ჭავჭავაძე (ნეკროლოგი).

ხ. ასათიანი—იოსებ სალაყაია (ნეკროლოგი).

სიტყვა წარმოთქმული ნ. ჟორდანიას მიერ ვლასა მგელაძის დასაფლავებაზე 1943 წ.

ვლასა მგელაძე—ლექსი.

ირანის ქარ. კოლონია—ვლადიმერ თურქია (ნეკროლ.).

ტ. წულაძე—შალვა სკამკოხაიშვილი (ნეკროლოგი).

სპირიდონ კვიციანის გარდაცვალება.

სილიბისტრო ჯიბლაძის გარდაცვალების 25 წლის თავი.

კარლო ჩხეიძის გარდაცვალების 20 წლის თავი.

საქართველოს საკითხი. ნ. ჟორდანიას ბროშურა (ფრანგულად).

№ 2. მაისი 1949 წელი.

საქ. ს.-დ. პარ. საზღვ.-გარ. ბიურო—ჩვენი დღესასწაული. ახალი საქართველო. 1. ძველი საქართველო. 2. 1917 წლის რევოლიუცია. 3. საქართველოს საზღვრები.

ნ. უ.—მიმდინარე საკითხები: 4. ომი თუ ზავი.

მკ. გეგეჭკორი—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.

ბ. ბ.—სოციალურ-ეკონომიური საკითხები დამოუკიდებელ საქართველოს კონსტიტუციაში და პრაქტიკაში.

პ. ხარჯველაძე—ჩვენი ერთობა.

ვინმე—იქაური რამე-რუმე.

იგივე—აქაური რამე-რუმე.

წმინდა ნინოს დღე.

პარტიული ცხოვრება. ბიუროს რეზოლიუცია 22 სექტემბერი, 1946 წ. რეზოლიუცია მიღებული პარიზის ს.-დ. ორგანკრებაზე. პალესტინის საკითხი.

დაძმწრე—ქართ. ტუბერკ. კომიტეტის საღამო.

ქართველობა უცხოეთში.
 უცხოეთში გარდაცვლილ ამხანაგების სია.
 ვლადიმერ ახმეტელაშვილი (ნეკროლოგი).
 ტ. წულაძე—არკადი მამფორია (ნეკროლოგი).

№ 3. აგვისტო 1949 წელი.

ნ. ე.—მიმდინარე საკითხები: 5. ზავი. მიზეზი ნაციონალური. მიზეზი ეკონომიური.

კ. კ.—ორი მიმართულება.
 ვვ. გვიშკოვი—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.
 პ. ხ.—ავგისტო.

ქართველი სოციალ-დემოკრატია.
 სოციალისტური ინტერნაციონალი.
 საბჭოთა მიერ დაჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საერთო პროგრამა. I. ნაციონალური; II. პოლიტიკური; III. ეკონომიურ-სოციალური.

გაკვრით.
 სარტიტან შავიშვილი—ნესტორ კალანდაძის ხსოვნას.
 აღ. კლდიაია—საქართველო და მომავალი რუსეთის ფედერაცია.

დამსწრე—26 მაისის დღესასწაული უცხოეთში. პარიზი.
 მადნე—26 მაისის დღესასწაული მიუნხენში.
 ი. მ.—26 მაისის დღესასწაული სოჭოში (საფრანგეთი).

№ 4. ნოემბერი 1949 წელი.

ნ. ე.—მიმდინარე საკითხები. დღევანდელი ვითარება.
 ვვ. გვიშკოვი—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.
 კ. კ.—ორი მიმართულება. 2.
 ქართველი და რუსის სოციალ-დემოკრატია. წერ. მეორე.
 ნ. ქორდანია—საბჭოთა სახელმწიფო. ეგვიპტე. ჩინეთი. პერუ. რუსეთი.
 ვ. ნა—ლი—რა ხდება ბალკანეთში.
 პ. ჩვენს ბედში მყოფნი!

№ 5. თებერვალი 1950 წელი.

ნ. ქორდანია—მიმდინარე საკითხები. ქართველი ვრი საფრთხეში.

ვვ. გვიშკოვი—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.
 კ. კ.—ჩვენი დროის სატკივრები.
 ნ. ე.—საბჭოთა სახელმწიფო. 2.
 იქაური—წერილი საქართველოდან.
 ივივე—აქაური რამე-რუმე.
 მ. ი.—საქართველო და რუსეთი.
 ვ. ნა—ლი—მახლობელი აღმოსავლეთი.
 ე. მ. ნოე ქორდანია დაბადების დღე.
 ნინო რუსია (ნეკროლოგი).
 თამარა რამიშვილი (ნეკროლოგი).

№ 6. მაისი 1950 წელი.

26 მაისი.

ნ. უ.—ნაციონალური საკითხი და რუსის ემიგრაცია.
რუსეთი და საქართველო.

მკ. მამუკაძე—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.

კ. კ.—ჩვენი დროის სატყვერები. 2. ფული.

პ. სარჯველაძე—ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის!

ძველი—საბჭოთა ტირანიის წარმოშობა.

ნაციონალური საკითხი და რუსული პრესა.

საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამის გარდაცვალების ასი წლის თავი.

ავთანდილ—ახლო წარსულიდან (მოგონებანი).

მეგობარი—ივანე ზურაბიშვილი (გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე).

ლევან ბლუმი (ნეკროლოგი).

ვასო გორდელაძე (ნეკროლოგი).

მეგობარი—გელა (ნეკროლოგი).

ფრანც კურსკი (ნეკროლოგი).

№ 7. ოქტომბერი 1950 წელი.

ნ. უ.—ორი ქვეყანა.

მკ. მამუკაძე—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.

კ. კ.—ჩვენი დროის სატყვერები. 3. მწარმოებელი და მომხმარებელი.

X.—მუშათა და გლეხთა მოძრაობა საქართველოში 1903 წ.

ქართველი სოც.-დემოკ. და ნაციონალური საკითხი.

ალ. კვარცხია—ქართული მთლიანობისათვის.

ძველი—მცირე შენიშვნა («სოციალ. ვესტ.» მოთავსებულ აბრამოვიჩის წერილის გამო).

კომუნისში და დემოკრატია.

აკაური—წერილი საქართველოდან.

26 მაისი უცხოეთში.

..—წერილი არგენტინიდან.



იბეჭდება და მალე გამოვა წიგნი:

ზ. გუ რ უ ლ ი.

მ რ ბ რ ნ ე ბ ა

1903—1921 წლამდე.



ფული და დასაბუქდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.